სუბარაქნოიდული ჰემორაგიის ფონზე ხშირია სხვადასხვა ტიპის გულის რითმის დარღვევის აღმოცენება. Pasquale და კოლეგების მიერ მწვავე პერიოდში ჩატარებული 24-საათიანი ჰოლტერის მონიტორირებით პაციენტთა 90%-ში სხვადასხვა ტიპის რიტმის დარღვევა დაფიქსირდა [69], ხშირი იყო პარკუჭოვანი ექსტრასისტოლიის, პარკუჭოვანი ბიგემინიისა და ტრიგემინიის, ასევე 'R-on-T' ფენომენი (შემთხვევათა 46%-ში), სუპრავენტრიკულური ტაქიკარდიის ეპიზოდები (პაციენტთა 36%-ში), სინუსური ბრადიკარდიის (39%) და სინოატრიალური ბლოკის (21%) შემთხვევები. არიტმიების აღმოცენების სიხშირე შედარებით მაღალი იყო ნევროლოგიური შემთხვევიდან პირველი 48 საათის განმავლობაში [10, 78, 232], საგულოსხმოა, რომ აღნიშნული კვლევის მიხედვით ვერ გამოვლინდა კორელაცია დაავადების კლინიკურ სიმძიმეს, ანევრიზმის ლოკალიზაციას, პაციენტის ასაკსა და არიტმიების აღმოცენების სიხშირეს შორის [20-25, 36]. Stober და კოლეგების მიერ აღწერილ იქნა ხშირი პარკუჭოვანი ექსტრასისტოლიის შემთხვევები (პაციენტთა 54%-ში), ასისტოლიის ეპიზოდები (27%), სინუსური ბრადიკარდიის (23%) და წინაგულთა ფიბრილაციის (4%) შემთხვევები. ვენტრიკულური ტაქიკარდიის გარბენები რეგისტრირებულია მონიტორირებულთა 20%-ში. სხვადასხვა ტიპის რიტმის დარღვევა ვლინდება პაციენტთა დაახლოებით ერთ მესამედში და ხშირია სიცოცხლისათვის საშიში არითმიების ისეთი როგორცაა პარკუჭოვანი ფიბრილაცია ან 'torsade de pointe' [87]. საგულისხმოა, რომ სუბარაქნოიდული ჰემორაგიის ფონზე აღმოცენებული არითმიები ჩვეულებრივ ასოცირებული არიან სიკვდილობის მომატებულ რისკთან [146,102,195,232].

მწვავე	სუბარაქნოიდული	ჰემორაგიის	ფონზე	აღმოცენებული
ელექტროკარდიოგრაფიული	ცვლილებები	ნეიროგენული	მექანიზმითაა	

განპირობებული. გულის ელექტროგენეზის აღნიშნული ცვლილებებს საფუძვლად უდევს ინტენსიური სიმპათიკური სტიმულაცია, განპირობებული ინსულური ქერქის დისფუნქციით. მოწოდებულია აგრეთვე მოსაზრება არქიპალეო კორტექსში არითმოგენული ცენტრის არსებობის შესახებ [186, 187, 256]. მარცხენა წინა ინსულარული იზოლაციისას აღინიშნება მომატებული სიმპათიკური აქტივობა, მარცხენა წინა ინსულარული და მარჯვენა ფრონტოპარიეტალური კორტექსის ინსულტის შემთხვევაში ვლინდება მსგავსი ზემოქმედება (ეფექტი) კარდიოვასკულურ გამოსავალზე. ცნობილია, რომ, მარჯვენა ინსულარული კორტექსის ჰემორაგია ასოცირებულია უეცარი სიკვდილის მომატებულ რისკთან [208, 188], ხოლო მარჯვენა შუა ცერებრალური არტერიის ინსულტი არიტმიების (ტაქიარითმიების) აღმოცენების მაღალ სიხშირესთან [128, 187, 190].

## 1.9 მწვავე ანევრიზმული სუბარაქნოიდული ჰემორაგია და კარდიოსპეციფიური ბიომარკერები

კარდიული მარკერების მომატება აღინიშნება სუბარაქნოიდული ჰემორაგიის მქონე პაციენტთა დაახლოებით 10-45%-ში და არსებობს მყარი კორელაცია CK-MB-ის მომატებულ მაჩვენებელსა, ეკგ ცვლილებებსა და არიტმიების აღმოცენების რისკს შორის [116,147]. მიოკარდიუმის ინფარქტისგან განსხვავებით სუბარაქნოიდული ჰემორაგიის ფონზე CK-MB-ის კონცენტრაცია უმნიშვნელოდ მატულობს, შედარებით მოგვიანებით ვლინდება და ჰემორაგიიდან დაახლოებით 4 დღის შემდეგ აღწევს პიკურ მაჩვენებელს [164].

კარდიული ტროპონინი მიოკარდიუმის დაზიანების სპეციფიურ მარკერს წარმოადგენს და მისი კონცენტრაციის პათოლოგიური მატება სუბარაქნოიდული ჰემორაგიის მქონე პაციენტთა 20-25%-ში აღინიშნება [223, 253]. ეს უკანასკნელი ასოცირებულია ეკგ ცვლილებების, მიოკარდიული დისფუნქციის, ფილტვების შეშუპების, ჰიპოტენზიის, მარცხენა პარკუჭოვანი დისფუნქცია და მოგვიანებითი ვაზოსპაზმის განვითარების რისკის მატებასთან [92, 223, 290]. ტროპონინის პიკური მაჩვენებელი კორელაციაშია სიკვდილობის მომატებულ რისკთან და გაუარესებულ ფუნქციურ გამოსავალთან სუბარაქნოიდული ჰემორაგიის მქონე პაციენტებში [128, 185, 190].

## თავი II

### II გამოკვლევული კონტიგენტი და კვლევის მეთოდები

#### 2.1 გამოკვლევული კონტიგენტის დახასიათება

გამოკვლევული იქნა 30 პაციენტი მწვავე ბალონური სინდრომით, 30 პაციენტი მიოკარდიუმის მწვავე ინფარქტით (STEMI) (საკონტროლო ჯგუფი) , 95 პაციენტი ანევრიზმული სუბარაქნოიდული ჰემორაგიით. 2004-2008 წლებში ავსტრიის ქ. ლინცის Krankenhaus Barmherzigen Schwester- ის Interne II განყოფილებაში მწვავე კორონარული სინდრომის დიაგნოზით ჰოსპიტალიზირებული 1411 პაციენტიდან (448 შემთხვევაში სავარაუდო მიოკარდიუმის მწვავე ინფარქტი ST-ს ელევაციით (STEMI) და 963 შემთხვევაში სავარაუდო მიოკარდიუმის მწვავე ინფარქტი ST-ს ელევაციის გარეშე (NSTEMI) 30 შემთხვევაში დიაგნოსტირებულ იქნა მწვავე ბალონური სინდრომი. ყველა პაციენტი მონაცემი აკმაყოფილებდა სადიაგნოსტიკო ე.წ. მეიოს კლინიკის კრიტერიუმებს: (1) უეცრად განვითარებული კარდიული სიმპტომები (უხშირესად ტკივილი გულის არეში ან დისპნეა), (2) ახლად აღმოცენებული ელექტროკარდიოგრაფიული ცვლილებები (ST-სეგმენტის ელევაცია, T კბილის ინვერსია ან პათოლოგიური Q კბილების არსებობა), (3) მარცხენა პარკუჭის ტრანზიტორული სისტოლური დისფუნქცია დამახასიათებელი სპეციფიური ექოკარდიოგრაფიული ან ვენტრიკულოგრაფიული სურათით, შუა და აპიკალური სეგმენტების აკინეზია/ჰიპოკინეზია/დისკინეზია ბაზალური სეგმენტების ნორმალური ან ჰიპერდინამიური კუმშვადობის ფონზე, (4) ანგიოგრაფიულად მნიშვნელოვანი კორონარული სტენოზირების ან მწვავე თრომბოზის არარსებობა.

2004-2008 წლებში ამავე კლინიკაში (Krankenhaus Barmherzigen Schwester- ის Interne II განყოფილება) მიოკარდიუმის წინა კედლის მწვავე ინფარქტის დიაგნოზით (STEMI) ჰოსპიტალიზირებული პაციენტებიდან საკონტროლო ჯგუფისთვის შეირჩა 30 პაციენტი მში-ით რანდომულად, მკაცრად იდენტური დემოგრაფიული და კლინიკური მახასიათებლებით. (1) ტიპური ანგინოზური ტკივილი, (2) ST-სეგმენტის ელევაცია  $>0.2$  mV მინიმუმ 2 ელექტროკარდიოგრაფიულ განხრაში, (3) cTnT

კონცენტრაცია 3-ჯერ მეტი ნორმულ ზედა ზღვრულ მაჩვენებელთან შედარებით, (4) წინა დაღმავალი არტერიის (LAD) მწვავე თრომბოზის ან ოკლუზიის ანგიოგრაფიული სურათი, რომელთაც ჩაუტარდათ გადაუდებელი PCI სტენტის იმპლანტაციით.

მესამე საკვლევ ჯგუფს წარმოადგენდა 95 პაციენტი ანევრიზმული სუბარაქნოიდული ჰემორაგიით, რომელთა შერჩევა მოხდა 2008-2010 წლებში ქ. თბილისის IV კლინიკურ საავადმყოფოს ნეიროქირურგიულ განყოფილებაში მწვავე ანევრიზმული სუბარაქნოიდული ჰემორაგიის დიაგნოზით ჰოსპიტალიზირებული პაციენტებიდან.

ყველა პაციენტი აკმაყოფილებდა შემდეგ კრიტერიუმებს: (1) მწვავე ანევრიზმული სუბარაქნოიდული ჰემორაგიის დიაგნოზი დადასტურებული თავის ტვინის კომპიუტერული ტომოგრაფიით (2) ექოკარდიოგრაფიულად დადასტურებული მარცხენა პარკუჭის ახლად აღმოცენებული სისტოლური დისფუნქცია (გლობალური და/ან რეგიონალური კუმშვადი ფუნქციის დარღვევა).

სამივე ჯგუფში გამორიცხვის კრიტერიუმს წარმოადგენდა: ანამნეზში გადატანილი მიოკარდიუმის მწვავე ინფარქტი ან იდიოპათიური კარდიომიოპათია, ჰიპერტროფიული კარდიომიოპათია ამ ფეოქრომოციტომა.

## 2.2 კვლევის მეთოდები

სამივე ჯგუფში შესწავლილ იქნა და შეფასებული შემდეგი დემოგრაფიული და კლინიკური მახასიათებლები:

სქესი, ასაკი, სხეულის მასის ინდექსი, თანმხლები პათოლოგიები, თანმხლები მედიკამენტოზური თერაპია, კლინიკური სიმპტომატიკა მწვავე პრეზენტაციის მომენტისთვის, შესაძლო მაპროვოცირებელი ფაქტორები, გულის იშემიური დაავადების რისკის ფაქტორები, ჰოსპიტალიზაციის განმავლობაში აღმოცენებული გართულებები და სიკვდილობის მაჩვენებელი.

სტანდარტული 12 განხრიანი ელექტროკარდიოგრაფიული კვლევა (25 mm/s სიჩქარით, 10mm=1.0mV კალიბრაციით) უტარდებოდა ყველა პაციენტს სამივე საკვლევ ჯგუფში კლინიკაში შემოსვლისას და ჰოსპიტალიზაციის პერიოდში სერიულად (მწვავე და ქვემწვავე პერიოდში), დინამიკაში ხდებოდა შემდეგი პარამეტრების შეფასება: ST-სეგმენტის და T-კბილის ცვლილებები, Q-კბილის არსებობა, R-კბილის ამპლიტუდის ცვლილება, PR- და QRS ინტერვალის ხანგრძლივობა, QT-ინტერვალის ხანგრძლივობა და დისპერსია, U-კბილის არსებობა, გულის რითმის შეფასება. სინუსური ბრადიკარდია განისაზღვრა როგორც სინუსური რიტმი  $<60$  შეკ/წთ; PR-ინტერვალის პროლონგირება  $> 200$  ms; ST-სეგმენტის დეპრესიის ჰორიზონტალური ან დაღმავალი  $\geq 0.05$  mV.

QT-ინტერვალის პროლონგირება განსაზღვრული იყო როგორც კორეგირებული QT ინტერვალის გაზრდა  $>430$ მს (მამაკაცებში) და  $>450$ მს (ქალებში), გამოთვლილი Bazzeტ-ის ფორმულის შესაბამისად [298]. QT დისპერსია განისაზღვრებოდა, როგორც ეკგ-ს 12 განხრაში QT-ინტერვალის მინიმალურ და მაქსიმალურ მნიშვნელობებს შორის სხვაობა.

ტრანსთორაკალური ექოკარდიოგრაფიული გამოკვლევა ტარდებოდა კლინიკაში შემოსვლისას (მწვავე პერიოდში) და გაწერის მომენტისათვის. გამოკვლევა ტარდებოდა აპარატზე Vivid 7, General Electric medical systems, 3,5-MHz phased-array ტრანსდუსერით. მარცხენა პარკუჭის სეგმენტური სისტოლური ფუნქციის (WMSI –

wall motion score index) შეფასება ხდებოდა სტანდარტული 16-სეგმენტისანი მოდელის შესაბამისად [144]. მარცხენა პარკუჭის მოცულობის (საბოლოო სისტოლური და საბოლოო დიასტოლური) და განდევნის ფრაქციის შესაფასებლად გამოყენებული იყო დისკების მეთოდი (biplane Simpson method) სტანდარტული აპიკალური 2 კამერიანი და 4 კამერიანი ჭრილებიდან და მაჩვენებელი შეფასებული იყო როგორც პროცენტი.

მიტრალური ნაკადის შეფასება ხდებოდა პულსური დოპლერით (pulsed-wave Doppler) 4 კამერიან აპიკალურ ჭრილში დიასტოლაში მიტრალური სარქველის კარედებს შორის. ფასდებოდა ტრანსმიტრალური ნაკადის შემდეგი პარამეტრები: ადრეული (E<sub>v</sub>) და გვიანი (A<sub>v</sub>) დიასტოლური ავსების სიჩქარეები, მათი თანაფარდობა, DT (deceleration time) მაჩვენებელი [231].

პულმონური ვენური ნაკადის შეფასება ხდებოდა აპიკალური მიდგომით 4 კამერიან ჭრილში, ერთ-ერთ პულმონურ ვენაზე ფასდებოდა პიკური სისტოლური (S) და პიკური ანტეროგრადული დიასტოლური ნაკადი (D) და მათი თანაფარდობა (S/D).

დიასტოლური ფუნქციის შეფასებისას გამოყენებული იყო ასევე პულსური ქსოვილოვანი დოპლერის მონაცემები (PW tissue Doppler). მონაცემების მიღება ხდებოდა პარკუჭთაშუა ძგიდის და მარცხენა პარკუჭის ლატერალური კედლის ბაზალური სეგმენტებიდან აპიკალურ მიდგომით 4-კამერიან ჭრილში. ფასდებოდა პიკური სისტოლური მაჩვენებელი, ადრეული დიასტოლური ავსების მაჩვენებელი E' და გვიანი დიასტოლური ავსების მაჩვენებელი A'

Strain rate imaging - 2-განზომილებიანი ქსოვილოვანი დოპლერით მონაცემების მიღება ხდებოდა პარკუჭთაშუა ძგიდის და მარცხენა პარკუჭის ლატერალური კედლიდან (ბაზალური სეგმენტებიდან) აპიკალურ მიდგომით 4-კამერიან ჭრილში. ფასდებოდა პიკური სისტოლური SR, ადრეული დიასტოლური ავსების SR და გვიანი დიასტოლური ავსების SR. პოსტსისტოლური სტრეინის ფასდებოდა როგორც სხვაობა პიკურ სისტოლურ და სისტოლურ სტრეინს შორის, ხოლო პოსტსისტოლური ინდექსის შეფასება ხდებოდა შემდეგი ფორმულით (პიკური სისტოლური სტრეინ – სისტოლური სტრეინ / პიკური სისტოლური სტრეინ) X 100) [35].

ყველა პაციენტის შემთხვევაში განსაზღვრული იყო კარდიული მარკერების კონცენტრაცია (CK, CK-MB, Troponin), ჰოსპიტალიზაციის მომენტისათვის და სერიულად კლინიკიდან გაწერამდე. კვლევისათვის ხდებოდა საწყისი და მაქსიმალური მაჩვენებლების აღირიცხვა. მწვავე ბალონური სინდრომს მქონე 26 პაციენტში განსაზღვრული იყო Troponin T, 5 პაციენტში Troponin I, შესაბამისად მიოკარდიუმის მწვავე ინფარქტის (STEMI) ჯგუფში 24 და 6 პაციენტში. ანევრიზმული სუბარქნოიდული ჰემორაგიის ფონზე განვითარებული კარდიომიოპათიის მქონე 10 პაციენტში განსაზღვრული იყო Troponin I (ნორმული სიდიდე: Troponin I < 0.3 ng/ml, Troponin T < 0.1 ng/ml, CK < 145 u/L).

მწვავე ბალონური სინდრომის მქონე 10 და მიოკარდიუმის მწვავე ინფარქტის მქონე 8 პაციენტში ჰოსპიტალიზაციის პირველ ან მეორე დღეს განსაზღვრული იყო სისხლში ტვინის ნატრიურული პეპტიდის კონცენტრაცია (BNP), (immunoenzyme sandwich assay) (ნორმული მაჩვენებელი 0-99 pg/ml).

მწვავე ბალონური სინდრომის მქონე 7 და მიოკარდიუმის მწვავე ინფარქტის მქონე 5 პაციენტში განსაზღვრული იყო 24 საათიან შარდში თავისუფალი კატექოლამინების: ეპინეფრინის, ნორეპინეფრინის და დოფამინის კონცენტრაცია. გამოყენებული იყო თხევადი ქრომატოგრაფიული მეთოდი (ნორმული მაჩვენებლები: ეპინეფრინი 4-20 ng/dl, ნორეპინეფრინი 23-105 ng/dl, დოფამინი <450 ng/dl).

კარდიული კატეტერიზაცია ჩატარებულ იქნა მწვავე აპიკალური ბალონური სინდრომის მქონე 30 და მიოკარდიუმის მწვავე ინფარქტის (STEMI) მქონე 30 პაციენტში. აპიკალური ბალონური სინდრომის მქონე პაციენტებში საშუალოდ 23±18 სთ-ში სიმპტომების აღმოცენებიდან, და მიოკარდიუმის მწვავე ინფარქტის (STEMI) მქონე პაციენტებში 6±2 სთ-ში ინიციალური შეტევიდან. გამოკვლევის ჩაწერა ხორციელდებოდა სტანდარტულ პროექციებში [190].

კორონარული არტერიული დაავადება განისაზღვრა როგორც კორონარული ეპიკარდიული არტერიის სტენოზირება >50%.

ვენტრიკულოგრაფიური გამოკვლევა ჩატარებული იყო 29 პაციენტში მწვავე აპიკალური სინდრომით და 20 პაციენტში STEMI-ით. გამოკვლევის ჩაწერა ხდებოდა მარჯვენა წინა ირიბ 30 ° პროექციაში. საბოლოო დიასტოლური მოცულობის (EDV), საბოლოო სისტოლური მოცულობის (ESV), საბოლოო



დიასტოლური მოცულობის ინდექსის (EDVI), საბოლოო სისტოლური მოცულობის ინდექსის (EDVI) და საბოლოო დიასტოლური წნევის (EDP) განსაზღვრა ხდებოდა არე-სიგრძივი მეთოდით (area-length method) [190].

ანევრიზმული სუბარაქნოიდული ჰემორაგიის მქონე ყველა პაციენტში ჩატარებული იყო თავის ტვინის კომპიუტერული ტომოგრაფია დიაგნოსტიკის მიზნით.

კრანოტომია და ანევრიზმის ქირურგიული კლიპირების ოპერაცია ჩატარებულ იქნა 69 პაციენტში ორივე საკვლევი ჯგუფიდან, რომელთაგან 58 შემთხვევაში განხორციელდა ადრეული ქირურგიული ჩარევა (სიმპტომების აღმოცენებიდან პირველი 48 საათის განმავლობაში), ხოლო 11 შემთხვევაში მოგვიანებითი ქირურგიული ჩარევა (სიმპტომების აღმოცენებიდან საშუალოდ  $16 \pm 2$  დღის შემდეგ).

ანევრიზმის ანატომიური ლოკალიზაციის მიხედვით ვახდენდით განაწილებას შემდეგ ანატომიურ აუზებში: (1) წინა შემაერთებელი არტერია, (2) შუა ცერებრალური არტერია, (3) უკანა ცერებრალური არტერია, (4) ბაზილარული და/ან ვერტებრალური არტერიები.

პაციენტებში ნევროლოგიური დაზიანების სიმძიმე ფასდებოდა კლინიკაში ჰოსპიტალიზაციის მომენტისათვის Hunt Hess-ის შკალის მიხედვით [234] (I - ასიმპტომური, ან გამოსატულია მსუბუქი თავის ტკივილი; II - საშუალო ან მკვეთრად გამოსატული თავის ტკივილი, ნევროლოგიური დეფიციტის ნიშნები გამოსატული არაა; III - გამოსატულია გაბრუება და მინიმალური ნევროლოგიური დეფიციტი; IV - სტუპორი; V - ღრმა კომა).

კლინიკური მიმდინარეობისას ხდებოდა სიმპტომური ვაზოსპაზმის არსებობის აღრიცხვა.

## 2.3 სტატისტიკური ანალიზი

ნორმალური განაწილების მქონე მაჩვენებლებისათვის მასალა წარმოდგენილია როგორც საშუალო  $\pm$  SD; ნომინალური მაჩვენებლები წარმოდგენილია პროცენტული რაოდენობებით (%).

ნორმალური განაწილების მაჩვენებელთა განსხვავების სარწმუნოება ჯგუფებს შორის გაანალიზებული იყო ორმიმართულიანი სტიუდენტის t-ტესტით (Student t test).

ნომინალურ პარამეტრებს შორის განსხვავებათა სარწმუნოება დარდებოდა Fisher's exact ტესტით.

კონკრეტულ ჯგუფში ნომინალურ პარამეტრებს შორის სხვაობის სარწმუნოება ინიციალური და განმეორებითი გამოკვლევისას გაანალიზებული იყო paired t test-ით.

ყველა სტატისტიკურ ანალიზში  $P < 0.05$  იყო მიჩნეული როგორც სტატისტიკურად სარწმუნო.

### III კვლევის შედეგები

#### 3.1 კლინიკური მახასიათებლები, პრეზენტაცია, ტრიგერული ფაქტორები და თანმხლები პათოლოგიები პაციენტებში მწვავე ბალონური სინდრომით და მიოკარდიუმის მწვავე ინფარქტით

2004-2008 წლებში კლინიკაში მწვავე კორონარული სინდრომის (448 შემთხვევაში სავარაუდო STEMI და 963 სავარაუდო NSTEMI) დიაგნოზით ჰოსპიტალიზირებული 1411 პაციენტიდან მწვავე ბალონური სინდრომი დიაგნოსტირებულ იქნა 30 შემთხვევაში (2.2%). აღნიშნული პაციენტები წარმოადგენდნენ მწვავე ბალონური სინდრომის საკვლევ ჯგუფს.

საკვლევ ჯგუფებში იქნა შესწავლილი და შეფასებული დემოგრაფიული და კლინიკური მახასიათებლები.

მწვავე ბალონური სინდრომის ჯგუფში პაციენტების საშუალო ასაკი შედგენდა  $75 \pm 10.2$  ( დიაპაზონი 54-90წ), რომელთაგან 28 (93.3%) იყო ქალი (ყველა მათგანი პოსტმენოპაუზურ მდგომარეობაში).

მიოკარდიუმის მწვავე ინფარქტის საკონტროლო ჯგუფში გაერთიანდა 30 პაციენტი მიოკარდიუმის წინა კედლის ინფარქტით (STEMI), რომელთა დემოგრაფიული და ასაკობრივი მონაცემები აპიკალური ბალონური სინდრომის საკვლევ ჯგუფის იდენტური გახლდათ (საშუალო ასაკი  $73 \pm 9$ , დიაპაზონი 57 - 88წ) ქალი 26 (86.7%)  $p=NS$ .


მწვავე ბალონური სინდრომის მკვეთრი გენდერული და ასაკობრივი თავისებურება რომელიც გამოვლინდა პრაქტიკულად ყველა წინამორბედ კვლევაში [3,4, 30, 31, 53] ასევე დადასტურდა ჩვენი მონაცემების საფუძველზეც. თუმცა მიზეზი უპირატესად სინდრომის აღმოცენებისა ხადაზმული ასაკის ქალებში უცნობია.

პრეზენტაციის მომენტისათვის ყველაზე ხშირ კლინიკურ სიმპტომს ორივე საკვლევ ჯგუფში წარმოადგენდა ტკივილი მკერდის არეში, და ამ თვალსაზრისით განსხვავება ორ საკვლევ ჯგუფს შორის გამოვლენილ არ იქნა.


მწვავე ბალონური სინდრომის ჯგუფში 24 (80%) და მიოკარდიუმის მწვავე ინფარქტის მქონე 26 პაციენტი (86.7%) კლინიკაში ჰოსპიტალიზირებულ იქნა რეტროსტერნალური ლოკალიზაციის ტიპით. 5 (%) პაციენტი ბალონურ სინდრომის და 4 (13.3%) მიოკარდიუმის მწვავე ინფარქტის ჯგუფში უჩიოდა მხოლოდ დისპნოეს, და ერთი შემთხვევა (3%) მწვავე ბალონური სინდრომის ჯგუფში წარმოდგენილი იყო იზოლირებულად ჰიპოტენზიით. (სურათი 1)

სურათი 1

(ა) კლინიკური მანიფესტაცია პაციენტებში მწვავე ბალონური სინდრომით



(ბ) კლინიკური მანიფესტაცია პაციენტებში მიოკარდიუმის მწვავე ინფარქტით



არ გამოვლინდა განსხვავება საკვლევი ჯგუფებს შორის სხეულის მასის ინდექსის და კორონარული რისკის ფაქტორების არსებობის თვალსაზრისით. ორივე ჯგუფში პაციენტების შესაბამისად 86.7% და 66.7% აღენიშნებოდათ ანამნეზში არტერიული ჰიპერტენზია, 13 პაციენტს აბს-ის ჯგუფიდან და 19-ს მმი - ის ჯგუფიდან გამოვლინდათ დისლიპიდემია, შესაბამისად 7-ს მწვავე ბალონური სინდრომით და 10-ს მმი-ით დიაგნოსტირებული ჰქონდა შაქრიანი დიაბეტი. (ცხრილი1) თუმცა ანალიზმა აჩვენა რომ მიოკარდიუმის მწვავე ინფარქტის ჯგუფში პაციენტების უმრავლესობას აღენიშნებოდათ კარდიოვასკულური რისკის ორი ან მეტი ფაქტორის ერთდროული თანაარსებობის მაღალი სიხშირე (საშუალოდ  $2.36 \pm 0.76$ ), რაც მოსალოდნელი ფაქტია პაციენტებში, კორონარული არტერიების დადასტურებული ათეროსკლეროზული დაზიანებით. მიუხედავად პაციენტთა ხანდაზმული ასაკისა მწვავე ბალონური სინდრომის ჯგუფში რამდენიმე კარდიოვასკულური რისკის ფაქტორების ერთდროული არსებობის შედარებით დაბალი მაჩვენებელი გამოვლინდა ( $1.83 \pm 0.69$ ) რაც სტატისტიკურად მნიშვნელოვნად განსხვავდებოდა მმი-ის ჯგუფის მონაცემისგან ( $P=0.004$ ).

ცხრილი 1. კლინიკური მახასიათებლები და რისკის ფაქტორები პაციენტებში მწვავე ბალონური სინდრომით და მიოკარდიუმის მწვავე ინფარქტით

	მბს	მმი	P
ასაკი (წ)	75 ± 10.2 (54 - 90)	73 ± 9.0 (74 - 88)	0.424
ქალი, n (%)	28 (93.3%)	26 (86.7%)	1
BMI (კგ/მ <sup>2</sup> )	24.9 ± 6.1	25.1 ± 4.7	0.913
რისკის ფაქტორები			
ჰიპერტენზია, n (%)	26 (86.7%)	20 (66.7%)	0.742
დისლიპიდემია, n (%)	13 (%)	19 (63.3%)	0.538
შაქრიანი დიაბეტი, n (%)	7 (%)	10 (33.3%)	0.492
აქტიური მწვეველი n (%)	3 (9.9%)	9 (30%)	0.288
გიდ ოჯახური ანამნეზი, n (%)	2 (6.6%)	8 (26.7%)	0.455
გიდ რისკის ფაქტორების საერთო მაჩვენებელი	1.83 ± 0.69	2.36 ± 0.76	0.004
კლინიკური პრეზენტაცია			
ტკივილი გულის არეში, n (%)	24 (80.0%)	26 (86.7%)	0.670
დისპნეა n (%)	5 (%)	4 (13.3%)	1
ჰიპოტენზია, n (%)	1 (3.3%)	0	0.333

როგორც ცნობილია აპიკალური ბალონური სინდრომის აღმოცენება ხშირ შემთხვევაში დაკავშირებულია ემოციური ან ფიზიკური სტრესის არსებობასთან, და ტრიგერული ფაქტორების იდენტიფიცირება სხვადასხვა ავტორის მონაცემით შემთხვევათა 10-100% შესაძლებელი [33,53]. ამ თვალსაზრისით სტატისტიკურად მნიშვნელოვანი სხვაობა გამოვლინდა ჩვენს საკვლევ პოპულაციაში მწვავე ბალონური სინდრომის და მიოკარდიუმის მწვავე ინფარქტის ჯგუფებს შორის. მწვავე ბალონური სინდრომის მქონე 23 (76.6%) პაციენტის შემთხვევაში შესაძლებელი გახდა სინდრომის აღმოცენების მაპროგნოზირებელი სტრესული ფაქტორის იდენტიფიცირება, ემოციური სტრესის 9 შემთხვევაში და სხვადასხვა გენეზის ფიზიკური სტრესორის არსებობა 14 შემთხვევაში. ფიზიკური სტრესი უხშირესად დაკავშირებული იყო არაკარდიული გენეზის ოპერაციულ ან სტომატოლოგიურ ჩატევასთან, ტრამვით გამოწვეულ ტკივილთან, სხვადასხვა ექსტრაკარდიული პათოლოგიის გამწვავებასთან. (ცხრილი 2). მაშინ როდესაც მიოკარდიუმის მწვავე ინფარქტის ჯგუფში ტრიგერული ფაქტორის არსებობა მხოლოდ 3 შემთხვევაში (9.9%) იქნა დადასტურებული ( $P<0.0001$ ).

ზემოთაღნიშნული მონაცემების საფუძველზე შეგვიძლია ვივარაუდოთ, რომ მწვავე ბალონური სინდრომის აღმოცენებაში ტრიგერული სტრესული ფაქტორის არსებობას შესაძლოა მნიშვნელოვანი პათოფიზიოლოგიური დატვირთვა გააჩნდეს.




ცხრილი 2. ტრიგერული ფაქტორები პაციენტებში მწვავე ბალონური სინდრომით და მიოკარდიუმის მწვავე ინფარქტით

	მკს (n=30)	მმი (n=30)	P
<b>იდენტიფიცირებული</b>			
მაპროვოცირებელი ფაქტორი	23 (76.6%)	3 (10%)	<0.0001
ემოციური სტრესორი, n (%)	9 (30)	1 (3.3)	0.012
ოჯახის წევრის გარდაცვალება	3 (10)	0	0.24
ოჯახური კონფლიქტი	1 (3.3)	0	1
სამსახურეობრივი კონფლიქტი	2 (6.6)	1	1
სხვა სახის ემოციური სტრესი	3 (10)	0	0.24
ფიზიკური სტრესორი, n (%)	14 (46.6)	2 (6.6)	0.001
მწვავე პნევმონია	4 (13.3)	1 (3.3)	0.35
მწვავე ბრონქიტი	2 (6.6)	0	0.49
ტრამვა	1 (3.3)	0	1
ქირურგიული ჩარევა	3 (10)	0	0.24
სტომატოლოგიური პროცედურა	2 (6.6)	0	0.49
ძლიერი ფიზიკური გადაღლა	2 (6.6)	1 (3.3)	1

საკვლევ ჯგუფებში ქრონიკული კომორბიდიტების ანალიზისას საინტერესო შედეგები გამოვლინდა. მწვავე ბალონური სინდრომის ჯგუფში დაფიქსირდა ქრონიკული ნევროლოგიური პათოლოგიების მაღალი სიხშირე, 19 პაციენტს (63.3%) აღენიშნა სხვადასხვა სახის ქრონიკული ნევროლოგიური დაავადება (ცხრილი 3, სურათი 2,3,4), მაშინ როდესაც მიოკარდიუმის მწვავე ინფარქტის ჯგუფში სხვადასხვა სახის ნევროლოგიური პათოლოგია მხოლოდ 7 პაციენტს აღენიშნებოდა (23.3%) ( $P=0.04$ ) (ცხრილი 3).

არ გამოვლინდა სტატისტიკურად მნიშვნელოვანი სხვაობა საკვლევ ჯგუფებს შორის სხვა პათოლოგიების არსებობის თვალსაზრისით, აპიკალური ბალონური სინდრომის და მიოკარდიუმის მწვავე ინფარქტის მქონე პაციენტებს თანაბარი სიხშირით გამოუვლინდათ რიგი არაკარდიული პათოლოგიები (სხვადასხვა ლოკალიზაციის სიმსივნე, ფარისებრი ჯირკვლის პათოლოგია, ძვალ-სახსროვანი სისტემის დაავადებები და ა.შ) (ცხრილი 3)

სურათი 2. თანმხლები ქრონიკული პათოლოგიები პაციენტებში მწვავე ბალნური სინდრომით




ცხრილი 3. კომორბიდული ანამნეზი პაციენტებში მწვავე ბალონური სინდრომით და მიოკარდიუმის მწვავე ინფარქტით


	მბს (n=30)	მმი (n=30)	P
<i>ნევროლოგიური დაავადებები, n (%)</i>	19 (63.3)	7 (23.3)	0.004
პარკინსონის დაავადება n (%)	3 (10)	0	0.23
დემენცია	5 (16.6)	3 (10)	0.706
დეპრესია	4 (13.3)	2 (6.6)	0.670
Restless leg syndrome	2 (6.6)	0	0.491
ინსულტი	1 (3.3)	2 (6.6)	0.545
degenerative spine	3 (10)	0	0.23
ეპილეფსია	1 (3.3)	0	1
ტრანსიტორული გლობალური ამნეზია	2 (6.6)	0	0.491
<i>სხვა სომატური დაავადებები n (%)</i>	10 (33.3)	11 (36.6)	
ავთვისებიანი სიმსივნე	3 (10)	3 (10)	1
ფქოლ	3 (10)	1 (3.3)	0.101
ჰიპოთირეოზი (სუბკლინიკური)	2 (6.6)	2 (6.6)	0.591
ჰიპერთირეოზი	0	1 (3.3)	1
პერიფერიული არტერიული დაავადება	2 (6.6)	2 (6.6)	1
ქრონიკული პანკრეატიტი	1 (3.3)	0	1
ქრონიკული ჰეპატიტი	0	1 (3.3)	1
თირკმლის ქრონიკული უკმარისობა	1 (6.6)	0	1
ანემია	1 (6.6)	1 (3.3)	1
გონარტროზი	1 (6.6)	0	1
სპონდილოზი	0	1 (3.3)	1
გლანუკომა	0	2 (6.6)	0.491
ტუბერკულოზი	0	1 (3.3)	1

სურათი 3

თანმხლები ნევროლოგიური პათოლოგია პაციენტებში მწვავე ბალონური სინდრომით



სურათი 4. ნევროლოგიური პათოლოგიების სამკურნალოდ გამოყენებული მედიკამენტები პაციენტებში მწვავე ბალონური სინდრომით



### 3.2 ელექტროკარდიოგრაფიული მონაცემები პაციენტებში მწვავე ბალონური სინდრომით და მიოკარდიუმის მწვავე ინფარქტით

ელექტროკარდიოგრაფიული გამოკვლევა ყველა პაციენტთან ორივე საკვლევ ჯგუფში ჩატარებულ იქნა კლინიკაში ჰოსპიტალიზაციის პირველივე წუთებში, კლინიკური სიმპტომების აღმოცენებიდან საშუალოდ  $3\pm 0.9$  სთ-ში.

მწვავე ბალონური სინდრომის მქონე პაციენტთა უმრავლესობას (29 (96.6%) და მიოკარდიუმის მწვავე ინფარქტის ჯგუფში ყველა პაციენტს ინიციალური ელექტროკარდიოგრაფიული გამოკვლევისას აღენიშნებოდა სინუსური რითმი. აპიკალური ბალონური სინდრომის 1 შემთხვევაში დაფიქსირდა წინაგულთა ფიბრილაციის პერმანენტული ფორმა.

ჰოსპიტალიზაციის მომენტისათვის გულის შეკუმშვათა საშუალო სიხშირის მონაცემი ორ საკვლევ ჯგუფს შორის მნიშვნელოვნად არ განსხვავდებოდა (შესაბამისად  $83 \pm 20$  (48 - 118) და  $87 \pm 31$  (39 - 155)  $P=0.553$  (ცხრილი 4)

ინიციალურ ელექტროკარდიოგრამაზე მწვავე ბალონური სინდრომის მქონე 13 და მმი-ის მქონე ყველა 30 (100%) პაციენტში დაფიქსირდა ST-სეგმენტის ელევაცია (სურათი 5). ST-სეგმენტის ელევაცია პრაქტიკულად ერთნაირი რაოდენობის ელექტროკარდიოგრაფიულ განხრებში იყო წარმოდგენილი ორივე ჯგუფის პაციენტებში ( $5.5 \pm 2.2$  და შესაბამისად  $5.4 \pm 1.6$ ,  $P= 0.904$ ). აპიკალური ბალონური სინდრომის ჯგუფში ის შედარებით ხშირად ფიქსირდებოდა V3-V4 განხრებში. თუმცა ST-სეგმენტის ელევაციის ხარისხი მნიშვნელოვნად მკვეთრად გამოხატული იყო მიოკარდიუმის მწვავე ინფარქტის ჯგუფში ( $11.4 \pm 4.5$  და შესაბამისად  $8.8 \pm 3.3$ ,  $P=0.04$ ).

ST-სეგმენტის რეციპროკული ცვლილებები (რეციპროკული დეპრესია) დაფიქსირდა მწვავე ბალონური სინდრომის მხოლოდ 1 შემთხვევაში, მაშინ როდესაც მიოკარდიუმის მწვავე ინფარქტის მქონე 13 პაციენტს გამოუვლინდა ინიციალურ ფაზაში აღნიშნული ელექტროკარდიოგრაფიული ცვლილება ( $P=0.032$ ).

მწვავე ბალონური სინდრომის მქონე პაციენტთა თითქმის ნახევარს (14 პაციენტს (46.6%) აღენიშნა T- კბილის ინვერსია, მაშინ როდესაც მიოკარდიუმის მწვავე

ინფარქტის ჯგუფში აღნიშნული წარმოდგენილი იყო პაციენტთა მხოლოდ 13.3%-ში ( $P=0.05$ ). T- კბილის ინვერსია ასევე მნიშვნელოვნად მეტ ელექტროკარდიოგრაფიულ განხრაში იყო წარმოდგენილი მწვავე ბალონური სინდრომის მქონე პაციენტებში ( $4.2 \pm 1.3$  და შესაბამისად  $3.0 \pm 1.1$   $P=0.021$ ), და უხშირესად ფიქსირდებოდა შემდეგ ელექტროკარდიოგრაფიულ განხრებში: I, aVL, V4-V6.

მწვავე პერიოდში QT-ინტერვალის პროლონგირება გამოიხატა მწვავე ბალონური სინდრომის 17 (56.6%) და მიოკარდიუმის მწვავე ინფარქტის 8 (26.6%) შემთხვევაში ( $P=0.035$ ), სტატისტიკურად მნიშვნელოვნად გახანგრძლივებული აღმოჩნდა კორეგირებული QT-ინტერვალის მაჩვენებელიც ორ ჯგუფს შორის ( $P=0.0014$ ).

მნიშვნელოვანი სხვაობა გამოვლინდა ჯგუფებს შორის ელექტროკარდიოგრაფიული მახასიათებლების თვალსაზრისით ქვემწვავე პერიოდშიც (ინიციალური შეტევიდან 48 საათის შემდეგ) (ცხრილი 5).

ST-სეგმენტის ელევაცია შენარჩუნდა შესაბამისად მწვავე ბალონური სინდრომის მქონე 2 და მიოკარდიუმის მწვავე ინფარქტის მქონე 4 პაციენტში ( $P=1$ ).

ორივე ჯგუფში პაციენტების აბსოლუტურ უმრავლესობაში გამოიხატა T-კბილის ინვერსია, თუმცა აღსანიშნავია, რომ მწვავე ბალონური სინდრომის მქონე პაციენტებში T-კბილის ინვერსია მნიშვნელოვნად მეტ ელექტროკარდიოგრაფიულ განხრაში იყო წარმოდგენილი ( $6.7 \pm 0.95$  და შესაბამისად  $5.5 \pm 1.2$   $P=0.013$ ). მწვავე ბალონური სინდრომის შემთხვევაში ღრმა, ინვერსიული T-კბილები უპირატესად ფიქსირდებოდა პრეკორდიალურ განხრებში, და ჩვეულებრივ პაციენტთა უმრავლეს შემთხვევაში აღინიშნებოდა მთელი ჰოსპიტალიზაციის მანძილზე (სურათი 6, 7) . საინტერესოა ის ფაქტი, რომ მწვავე პერიოდში ბალონური სინდრომის მქონე 6 და მიოკარდიუმის მწვავე ინფარქტის მქონე 4 პაციენტს ელექტროკარდიოგრაფიულად აღენიშნებოდათ პათოლოგიური Q-კბილის არსებობა, თუმცა ქვემწვავე პერიოდში სტატისტიკურად მნიშვნელოვანი სხვაობა გამოიხატა ჯგუფებს შორის, Q-კბილი ფიქსირდებოდა მწვავე ბალონური სინდრომის მქონე მხოლოდ 2 და მიოკარდიუმის ინფარქტის მქონე 10 პაციენტში ( $P=0.02$ )




ცხრილი 4. ეკგ მონაცემები ინიციალური მომენტისათვის პაციენტებში მწვავე ბალონური სინდრომით და მიოკარდიუმის მწვავე ინფარქტით

ინიციალური მონაცემები	მპს (n=30)	მმი (STEMI) (n=30)	P
ST-სეგმენტის ელევაცია (პაციენტების რაოდენობა)	13 (43.3%)	30 (100%)	<0.0001
T-კბილის ინვერსია (პაციენტების რაოდენობა)	14 (46.6%)	4 (13.3%)	0.005*
პათოლოგიური Q-კბილის არსებობა (პაციენტების რაოდენობა)	6 (20%)	4 (13.3%)	0.48
ST-სეგმენტის ელევაცია (ეკგ განხრების რაოდენობა)	5.5 ± 2.2	5.4 ± 1.6	0.904
T-კბილის ინვერსია (ეკგ განხრების რაოდენობა)	4.2 ± 1.3	3.0 ± 1.1	0.021
პათოლოგიური Q-კბილის არსებობა (ეკგ განხრების რაოდენობა)	2.6 ± 1.1	2.5 ± 1.7	0.928
ST-სეგმენტის ელევაცია (მმ)	8.8 ± 3.3	11.4 ± 4.5	0.04*
ST-სეგმენტის დეპრესია რეციპროკულ განხრებში	1(3%)	13 (43.3%)	0.032*
QT-ინტერვალის პროლონგირება	17 (56.6%)	8 (26.6%)	0.035*
HR	83 ± 20 (48-118)	87±31 (39 - 155)	0.553
PR	181 ±36 ms (112-250)	183 ± 40 ms (134 - 240)	0.838
QTc	467 ± 67 ms (372-599)	421 ± 30 ms (384 - 468)	0.0014*

\* - სტატისტიკურად მნიშვნელოვანი სხვაობა

სურათი 5. ელექტროკარდიოგრაფიული ცვლილებები კლინიკური მანიფესტაციის მომენტისათვის პაციენტებში მწვავე ბალონური სინდრომით




ცხრილი 5. ეკგ მონაცემები ქვემწვავე ფაზაში პაციენტებში მწვავე ბალონური სინდრომით და მიოკარდიუმის მწვავე ინფარქტით

	აბს (n=30)	მმი (STEMI) (n=30)	P Value
ST-სეგმენტის ელევაცია (პაციენტების რაოდენობა)	2 (6.6%)	4 (13.3%)	1
T-კბილის ინვერსია (პაციენტების რაოდენობა)	29 (96.6%)	29 (96.6%)	1
პათოლოგიური Q-კბილის არსებობა (პაციენტების რაოდენობა)	2 (6.6%)	10 (33.3%)	0.02*
ST-სეგმენტის ელევაცია (ეკგ განხრების რაოდენობა)	3.3 ± 0.6	3.7 ± 1.3	0.482
T-კბილის ინვერსია (ეკგ განხრების რაოდენობა)	6.7 ± 0.95	5.5 ± 1.2	0.013*
HR	80 ± 16 (54-124)	83.6 ± 17 (56 - 114)	0.489
PR	185 ± 38 ms (140-250)	170 ± 32 (112 - 230)	0.203
QTc	461 ± 104ms (340-576)	426 ± 32 (420 - 481)	0.089

\* - სტატისტიკურად მნიშვნელოვანი სხვაობა

სურათი 6. ელექტროკარდიოგრაფიული ცვლილებები დინამიკაში პაციენტებში ბალონური სინდრომით


23/10/06




25/10/06



30/10/06



03/11/06



06/11/06





11/12/06





სურათი 7. ტიპური ელექტროკარდიოგრაფიული ცვლილებები ქვემწვავე ფაზაში პაციენტებში მწვავე ბალონური სინდრომით



### 3.3 ექოკარდიოგრაფიული მონაცემები პაციენტებში მწვავე ბალონური სინდრომით და მიოკარდიუმის მწვავე ინფარქტით

ინიციალური ექოკარდიოგრაფიული გამოკვლევა ჩატარებულ იქნა როგორც მწვავე ბალონური სინდრომის მქონე პაციენტების ისე მიოკარდიუმის მწვავე ინფარქტის ჯგუფში კლინიკაში ჰოსპიტალიზაციის პირველ საათებში.

მწვავე აპიკალური ბალონური სინდრომის მქონე პაციენტებში დაფიქსირდა მარცხენა პარკუჭის გლობალური კუმშვადი ფუნქციის ზომიერი დაქვეითება, სეგმენტური დისფუნქციის მკვეთრად სპეციფიური სურათით: მარცხენა პარკუჭის შუა და აპიკალური სეგმენტების გამოსატული ჰიპო-აკინეზია ან დისკინეზია, ბაზალური სეგმენტების შენახული კუმშვადი ფუნქციის ფონზე, აპიკალური ბალონური სინდრომის ჯგუფში რეგიონალური ასინერჯის ზონა სცილდებოდა ერთი რომელიმე კონკრეტული კორონარული არტერიის ვასკულარიზაციის უბანს, მაშინ როდესაც მიოკარდიუმის მწვავე ინფარქტის ჯგუფში ძირითადად აღინიშნა რეგიონალური კუმშვადი ფუნქციის დაქვეითება კონკრეტული კორონარული არტერიის ვასკულარიზაციის ზონაში.

საწყისი ექოკარდიოგრაფიული პარამეტრების შეფასებისას ორივე საკვლევი ჯგუფში გამოვლინდა მიოკარდიუმის სისქის პრაქტიკულად ერთნაირი პარამეტრები, არ იქნა ნანახი სტატისტიკურად სარწმუნო განსხვავება ჯგუფებს შორის პარკუჭთაშუა ძგიდის (შესაბამისად  $10.9 \pm 2.7$  და  $10.7 \pm 2.45$   $p=0.65$ ) და უკანა კედლის სისქის თვალსაზრისით (შესაბამისად  $10.8 \pm 2.2$  და  $10.5 \pm 0.25$   $p=0.28$ ). ინიციალური შეფასებისას გლობალური სისტოლური ფუნქცია მკვეთრად იყო დაქვეითებული მწვავე აპიკალური ბალონური სინდრომის მქონე 8 და მიოკარდიუმის მწვევე ინფარქტის მქონე 7 პაციენტში, ზომიერად შესაბამისად 11 და 9 პაციენტში, მსუბუქად შესაბამისად 6 და 8 პაციენტში, და ნორმის ფარგლებში იყო 5 და 6 პაციენტში შესაბამისი საკვლევი ჯგუფიდან (სურათი 8). ორივე საკვლევი ჯგუფში ინიციალურ ექოკარდიოგრაფიული გამოკვლევისას დაფიქსირდა საწყისი განდევნის ფრაქციის საშუალო მაჩვენებლის ზომიერი დაქვეითება, თუმცა მწვავე ბალონური სინდრომის მქონე პაციენტებში მარცხენა პარკუჭის განდევნის ფრაქციის საწყისი მაჩვენებელი სტატისტიკურად მნიშვნელოვნად დაბალი აღმოჩნდა მიოკარდიუმის მწვავე ინფარქტის ჯგუფში ანალოგიურ

პარამეტრთან შედარებით ( EF-  $38.2 \pm 10.8\%$  და შესაბამისად  $43.6 \pm 6.9\%$  ( $p = 0.02$ ).  
(ცხრილი 6)

**ცხრილი 6**

ინცივალური ექოკარდიოგრაფიული მონაცემები პაციენტებში მწვავე ბალონური სინდრომით და მიოკარდიუმის მწვავე ინფარქტით


ექოკარდიოგრაფიული კომპონენტი	მწვავე ბალონური სინდრომი (n=30)	მ.მ.ი (n=30)	P
მპ-ის საბოლოო დიასტოლური მოცულობა (მლ/მ2)	64.7 ± 18.2	55.3 ± 12.7	0.02*
მპ-ის საბოლოო სისტოლური მოცულობა (მლ/მ2)	42.9 ± 16.5	30.2 ± 9.6	<0.001*
მპ-ის განდევნის ფრაქცია (%)	38.2 ± 10.8	43.6 ± 6.9	0.02*
პარკუჭთაშუა ძგიდის სისქე დიასტოლაში (მმ)	10.9 ± 2.7	10.7 ± 2.45	0.65
უკანა კედლის სისქე დიასტოლაში (მმ)	10.8 ± 2.2	10.5 ± 1.5	0.28
რეგიონალური კუმშვადობის ინდექსი	2.17±0.4	1.88±0.35	0.035*
აპიკალური სეგმენტის აკინეზია (%)	28 (93.3%)	20 (66.6%)	0.02*
წინა კედლის ბაზალური სეგმენტის შენახული კუმშვადობა (%)	22 (73.3%)	13 (43.3%)	0.035*

მპ - მარცხენა პარკუჭი; \* სტატისტიკურად მნიშვნელოვანი სხვაობა



სურათი 8

განდევნის ფრაქციის მაჩვენებლები საწყისი ექოკარდიოგრაფიული გამოკვლევისას პაციენტებში მწვავე ბალონური სინდრომით და მიოკარდიუმის მწვავე ინფარქტით



მწვავე ბალონური სინდრომის ჯგუფში დაფიქსირდა მარცხენა პარკუჭის საბოლოო დიასტოლური მოცულობითი ინდექსის (LVEDWI) და საბოლოო სისტოლური მოცულობითი ინდექსის მნიშვნელოვნად მაღალი მაჩვენებელი.

საინტერესოა ის ფაქტი, რომ რეგიონალური კუმშვადი ფუნქციის თვალსაზრისით ჯგუფებს შორის გამოვლინდა სტატისტიკურად სარწმუნო განსხვავება რეგიონალური ასინერგიის ლოკალიზაციის და დისინერგიული სეგმენტების რაოდენობის თვალსაზრისითაც: მწვავე ბალონური სინდრომის ჯგუფში 28 შემთხვევაში (93.3%) დაფიქსირდა აპიკალური სეგმენტის კუმშვადობის დარღვევა მაშინ როდესაც მმი-ის ჯგუფში მხოლოდ 20 პაციენტში 66.6 (%) ( $p=0.02$ ), ხოლო წინა კედლის ბაზალური ნაწილის ნორმალური კუმშვადი ფუნქცია აღინიშნა მწვავე ბალონური სინდრომის მქონე 22 პაციენტში (73.3%) და მიოკარდიუმის მწვავე ინფარქტის მქონე მხოლოდ 13 პაციენტში (46.6%) ( $P=0.035$ ). (ცხრილი 1)

მიოკარდიუმის მწვავე ინფარქტის ჯგუფში გამოვლინდა რეგიონალური კუმშვადობის ინდექსის სტატისტიკურად მნიშვნელოვნად დაბალი მაჩვენებელი ( $2.17 \pm 0.4$  და  $1.88 \pm 0.35$   $p=0.035$ ) რაც მეტყველებს იმ ფაქტზე, რომ ინიციალური ექოკარდიოგრაფიული გამოკვლევისას აპიკალური ბალონური სინდრომის მქონე პაციენტებში აღინიშნებოდა მარცხენა პარკუჭის მეტი სეგმენტის (უფრო დიდი ფართობის) კუმშვადი ფუნქციის დარღვევა (ცხრილი 6).

დინამიური გრადიენტის არსებობა მარცხენა პარკუჭის გამომავალ ტრაქტში გამოვლენილ არ იქნა არც ერთ პაციენტში ორივე საკვლევი ჯგუფიდან.

ასევე არც ერთ ჯგუფში არ იქნა ნანახი სტატისტიკურად სარწმუნო განსხვავება მარჯვენა პარკუჭის თანდართული დაზიანების არსებობასთან მიმართებაში.

მარცხენა პარკუჭის საწყისი დიასტოლური პარამეტრების შეფასებისას მნიშვნელოვანი განსხვავება გამოიკვეთა ორ საკვლევ ჯგუფს შორის:

მწვავე ბალონური სინდრომის ჯგუფში აღინიშნა მიტრალურ ნაკადზე ადრეული დიასტოლური პიკის (E) შედარებით დაბალი მაჩვენებელი ( $0.71 \pm 0.25$ ) მიოკარდიუმის მწვავე ინფარქტის ჯგუფთან შედარებით ( $0.87 \pm 0.26$ ) ( $p=0.018$ ), ხოლო ქსოვილოვანი დოპლერით განსაზღვრული ადრეული დიასტოლური სინქარის მაჩვენებელი (Ea) პრაქტიკულად ერთნაირი გახლდათ: (შესაბამისად  $0.07 \pm$

0.25 მწვავე ბალონური სინდრომის მქონე პაციენტებში და  $0.07 \pm 0.2$  მიოკარდიუმის მწვავე ინფარქტის ჯგუფში).

E/Ea თანაფარდობა, რომელიც მარცხენა პარკუჭის ავსების წნევის შეფასების არაინვაზიური პარამეტრია სტატისტიკურად მაღალი აღმოჩნდა მიოკარდიუმის მწვავე ინფარქტის ჯგუფში ( $15.8 \pm 4.5$  და  $12.1 \pm 4.2$   $p=0.004$ ) (ცხრილი 7)

ინიციალური ექოკარდიოგრაფიული გამოკვლევისას მწვავე აპიკალური ბალონური სინდრომის ჯგუფში 10 შემთხვევაში დაფიქსირდა ნორმალური დიასტოლური ფუნქცია, 14 შემთხვევაში I ხარისხის დიასტოლური დისფუნქცია (გაუარესებული რელაქსაციის ტიპი), 5 შემთხვევაში II ხარისხის დიასტოლური დისფუნქცია (ფსევდონორმალიზაციის ტიპი), და 1 შემთხვევაში III ხარისხის დიასტოლური დისფუნქცია (რესტრიქციული ტიპი) (სურათი 9).

მაშინ როდესაც მიოკარდიუმის მწვავე ინფარქტის ჯგუფში 7 პაციენტში დაფიქსირდა ნორმალური დიასტოლური ფუნქციის მაჩვენებელი, 10 პაციენტში I ხარისხის დიასტოლური დისფუნქცია (გაუარესებულ რელაქსაცია), 12 შემთხვევაში II ხარისხის დიასტოლური დისფუნქცია (ფსევდონორმალიზაციის ტიპი), და 1 შემთხვევაში III ხარისხის დიასტოლური დისფუნქცია (რესტრიქციული ტიპი) (სურათი 10).


ცხრილი 7

ინიციალური დოპლეროგრაფიული მონაცემები

ექოკარდიოგრაფიული კომპონენტი	მწვავე ბალონური სინდრომი (n=30)	მ.მ.ი (n=30)	P
ტრანსმიტრალური ნაკადი			
<b>E (m/s)</b>	<b>0.71 ± 0.25</b>	<b>0.87 ± 0.26</b>	<b>0.018*</b>
<b>A (m/s)</b>	<b>0.9 ± 0.28</b>	<b>0.71 ± 0.25</b>	<b>0.007*</b>
<b>DT (ms)</b>	<b>226 ± 38</b>	<b>196 ± 31</b>	<b>0.001*</b>
<b>E/A</b>	<b>0.82 ± 0.3</b>	<b>1.2 ± 0.6</b>	<b>0.002*</b>
<b>Ea (m/s)</b>	<b>0.07 ± 0.02</b>	<b>0.07 ± 0.03</b>	<b>1</b>
<b>E/Ea</b>	<b>12.1 ± 4.2</b>	<b>15.8 ± 6.5</b>	<b>0.004*</b>


\* სტატისტიკურად მნიშვნელოვანი სხვაობა

სურათი 9 დიასტოლური ფუნქცია პაციენტებში აპიკალური ბალონური სინდრომით



- 1 – ნორმალური დიასტოლური ფუნქცია
- 2 - I ხარისხის დიასტოლური დისფუნქცია (გაუარესებული რელაქსაციის ტიპი)
- 3 - II ხარისხის დიასტოლური დისფუნქცია (ფსევდონორმალიზაციის ტიპი)
- 4 - III ხარისხის დიასტოლური დისფუნქცია (რესტრიქციული ტიპი)

სურათი 10 დიასტოლური ფუნქცია პაციენტებში მიოკარდიუმის მწვავე ინფარქტით



- 1 – ნორმალური დიასტოლური ფუნქცია
- 2 - I ხარისხის დიასტოლური დისფუნქცია (გაუარესებული რელაქსაციის ტიპი)
- 3 - II ხარისხის დიასტოლური დისფუნქცია (ფსევდონორმალიზაციის ტიპი)
- 4 - III ხარისხის დიასტოლური დისფუნქცია (რესტრიქციული ტიპი)

განმეორებითი ექოკარდიოგრაფიული კვლევა ჩატარდა ინიციალური მომენტიდან მწვავე ბალონური სინდრომის ჯგუფში (30 პაციენტში) საშუალოდ  $15 \pm 3$  და მიოკარდიუმის მწვავე ინფარქტის ჯგუფში (27 პაციენტში) საშუალოდ  $14 \pm 4$  დღის შემდეგ ( $p=NS$ ).

შეფასდა განდევნის ფრაქციის მაჩვენებელი და რეგიონალური კუმშვადი ფუნქციის ინდექსი, თითოეულ ჯგუფში სხვაობა ინიციალურ და განმეორებით მონაცემებს

შორის და აგრეთვე ორივე საკვლევე ჯგუფებს შორის სხვაობა თითოეული კომპონენტის თვალსაზრისით.


სტატისტიკურად სარწმუნო განსხვავება დაფიქსირდა განდევნის ფრაქციის საწყის და განმეორებით მაჩვენებლებს შორის სხვაობის თვალსაზრისით მწვავე ბალონური სინდრომის ჯგუფში. აღინიშნა გლობალური სისტოლური ფუნქციის მკვეთრი გაუმჯობესება ( $EF=56.3 \pm 7.4\%$ ) ( $p<0.0001$ ) გრაფიკი 1.

ამ ჯგუფში განმეორებითი ექოლოგიური გამოკვლევისას 24 პაციენტში დაფიქსირდა განდევნის ფრაქციის ნორმალური მაჩვენებელი და 6 შემთხვევაში მარცხენა პარკუჭის განდევნის ფრაქციის მსუბუქი დაქვეითება (სურათი 11). აპიკალური ბალონური სინდრომის ჯგუფში დაფიქსირდა მკვეთრი გაუმჯობესება ასევე რეგიონალური დისინერჯის თვალსაზრისით, 24 პაციენტში აღინიშნა რეგიონალური კუმშვადი ფუნქციის სრული ნორმალიზაცია, ხოლო 6 პაციენტში დაფიქსირდა მარცხენა პარკუჭის შუა და აპიკალური სეგმენტების ჰიპოკინეზია, თუმცა ინიციალურ ექოკარდიოგრაფიულ გამოკვლევასთან შედარებით ამ კონკრეტულ პაციენტებშიც აღინიშნა რეგიონალური კუმშვადი ფუნქციის გაუმჯობესება. მთლიანობაში აპიკალური ბალონური სინდრომის ჯგუფში რეგიონალური კუმშვადი ფუნქციის ინდექსი სტატისტიკურად მნიშვნელოვნად გაუმჯობესდა ინიციალურ მაჩვენებელთან შედარებით ( $2.17 \pm 0.4$  და  $1.2 \pm 0.24$   $p=0.001$ ).

მიოკარდიუმის მწვავე ინფარქტის ჯგუფში მარცხენა პარკუჭის განდევნის ფრაქციის მაჩვენებელი საწყის მონაცემთან შედარებით გაიზარდა  $47.4 \pm 11.6 \%$  ( $p=0.002$ ). თუმცა ამ ჯგუფში განმეორებითი ექოლოგიური გამოკვლევისას მხოლოდ 12 შემთხვევაში დაფიქსირდა მარცხენა პარკუჭის განდევნის ფრაქციის ნორმალური მაჩვენებელი ( $EF>55\%$ ), 9 პაციენტში გამოვლინდა მსუბუქად დაქვეითებული განდევნის ფრაქცია (45-55%), 5 შემთხვევაში ზომიერად (30-45%), ხოლო 1 პაციენტში მკვეთრად დაქვეითებული განდევნის ფრაქციის მონაცემი ( $<30\%$ ). (სურათი 11)

სურათი 11

განდევნის ფრაქციის მაჩვენებლები განმეორებით ექოკარდიოგრაფიული გამოკვლევისას პაციენტებში მწვავე ბალონური სინდრომით და მიოკარდიუმის მწვავე ინფარქტით





ჯგუფებს შორის საბოლოო მონაცემების ანალიზისას სტატისტიკურად მნიშვნელოვანი სხვაობა დაფიქსირდა ორ საკვლევ ჯგუფს შორის განდევნის ფრაქციის მაჩვენებლის და რეგიონალური კუმშვადი ფუნქციის ინდექსის თვალსაზრისით: განმეორებითი შეფასებისას მწვავე ბალონური სინდრომის ჯგუფში გამოვლინდა მნიშვნელოვნად მაღალი განდევნის ფრაქციის მაჩვენებელი ( $56.3 \pm 7.4$  შესაბამისად  $47.4 \pm 11.6$  % ( $p = 0.0012$ ), და რეგიონალური კუმშვადი ფუნქციის ინდექსის მნიშვნელოვნად დაბალი მონაცემი ( $1.2 \pm 0.24$  და  $1.5 \pm 0.3$ ,  $p=0.004$ ) (ცხრილი 8 )

**ცხრილი 8**


განმეორებითი ექოკარდიოგრაფიული მონაცემები პაციენტებში მწვავე ბალონური სინდრომით და მიოკარდიუმის მწვავე ინფარქტით

ექოკარდიოგრაფიული კომპონენტი	მწვავე ბალონური		
	სინდრომი (n=30)	მ.მ.ი (n=27)	P
მპ-ის განდევნის ფრაქცია (%)	$56.3 \pm 7.4$	$47.4 \pm 11.6$	0.0012
რეგიონალური კუმშვადობის ინდექსი	$1.2 \pm 0.24$	$1.5 \pm 0.3$	0.004


გრაფიკი 1

განღვენის ფრაქციის ინიციალური (ა) და განმეორებითი (ბ) მაჩვენებელი პაციენტებში მწვავე ბალონური სინდრომით

(ა)



(ბ)



ექოკარდიოგრაფიულმა გამოკვლევამ მნიშვნელოვანი სხვაობა გამოავლინა მწვავე აპიკალური ბალონური სინდრომის და მიოკარდიუმის მწვავე ინფარქტის პაციენტებში. მწვავე პერიოდში ინიციალური შეფასებისას მწვავე ბალონური სინდრომის მქონე პაციენტებს აღენიშნებათ უფრო მნიშვნელოვნად დაქვეითებული გლობალური სისტოლური ფუნქცია და რეგიონალური ასინერგიის უფრო მკაფიოდ გამოხატული სურათი, რაც თეორიულად მარცხენა პარკუჭის დაზიანების უფრო დიდ კერაზე უნდა მეტყველებდეს და შესაბამისად შედარებით მძიმე კლიკური პროგნოზის განმსაზღვრელი უნდა იყოს. თუმცა პარადოქსულია ის ფაქტი, რომ, მწვავე ბალონური სინდრომის მქონე პაციენტებში ჩვენს კვლევაში, ისევე როგორც სხვა წინამორბედ კვლევებში, დაფიქსირდა მარცხენა პარკუჭის როგორც გლობალური, ისე რეგიონალური კონტრაქტილური ფუნქციის პრაქტიკულად სრული ნორმალიზაცია, და მიოკარდიუმის მწვავე ინფარქტის ჯგუფთან შედარებით მნიშვნელოვნად გამოხატული გაუმჯობესება როგორც რეგიონალური, ისე გლობალური კუმშვადი ფუნქციის თვალსაზრისით. რაც კიდევ ერთხელ მეტყველებს აპიკალური ბალონური სინდრომის შემთხვევაში სიცოცხლისუნარიანი მიოკარდიუმის არსებობის სასარგებლოდ.

საინტერესოა ის ფაქტი, რომ მწვავე პერიოდში მწვავე ბალონური სინდრომის ჯგუფში დაფიქსირდა უკეთესი დიასტოლური ავსების მაჩვენებლები, მიუხედავად უფრო დაბალი განდევნის ფრაქციის მაჩვენებლის და შედარებით მაღალი საბოლოო დიასტოლური მოცულობის არსებობისა. წინამორბედმა კვლევებმა აჩვენა, რომ მიოკარდიუმის მწვავე ინფარქტის მქონე პაციენტებში მარცხენა პარკუჭის დიასტოლური ფუნქციის შეფასების პარამეტრები და ავსების წნევა წარმოადგენენ მნიშვნელოვან პროგნოზულ პარამეტრებს სიცოცხლისუნარიანი მიოკარდიუმის არსებობის შეფასებისას [198, 199]. მარცხენა პარკუჭის დიასტოლური ფუნქცია მნიშვნელოვნად არის დამოკიდებული პარკუჭის რელაქსაციის უნარზე და კედლის ელასტიურობაზე, მიოკარდიუმის ინფარქტის შემთხვევაში აკინეზიური სეგმენტების არსებობა და შემდგომში ნაწიბურის ჩამოყალიბება მნიშვნელოვან ზეგავლენას ახდენს მარცხენა პარკუჭის ამ პარამეტრებზე. აღინიშნება კორელაცია მიოკარდიუმის ფიბროზის ხარისხს, სიცოცხლისუნარიანი მიოკარდიუმის არსებობას და დიასტოლური დისფუნქციის ხარისხს შორის [193] შესაბამისად, შედარებით შენახული დიასტოლური ფუნქცია მწვავე ბალონური სინდრომის მქონე პაციენტებში შესაძლოა ასევე მეტყველებდეს

მიოკარდიული სტანინგის სასარგებლოდ და მიოკარდიუმის მწვავე ინფარქტის მქონე პაციენტებთან შედარებით უკეთესი პრონოზის განმსაზღვრელი ერთ-ერთი ფაქტორი იყოს.

3.4 კარდიოსპეციფიური მარკერების (ტროპონინი, კრეატინფოსფოკინაზა), თავის ტვინის ნატრიურული პეპტიდის (BNP) და სტრესული ჰორმონების მაჩვენებლები პაციენტებში მწვავე ბალონური სინდრომით და მიოკარდიუმის მწვავე ინფარქტით

ორივე საკვლევე ჯგუფში, პაციენტებში მწვავე ბალონური სინდრომით და მიოკარდიუმის მწვავე ინფარქტით, ყველა შემთხვევაში განსაზღვრული იყო კარდიული მარკერების კონცენტრაცია (CK, CK-MB, Troponin), ჰოსპიტალიზაციის მომენტისათვის (კლინიკური სიმპტომების აღმოცენებიდან საშუალოდ 4-6 სთ-ის შემდეგ) და სერიულად კლინიკიდან გაწერამდე. მწვავე ბალონური სინდრომს მქონე 26 პაციენტში განსაზღვრული იყო Troponin T, 4 პაციენტში Troponin I, შესაბამისად მიოკარდიუმის მწვავე ინფარქტის ჯგუფში 24 პაციენტის შემთხვევაში Troponin T და 6 შემთხვევაში Troponin I. CK განისაზღვრა ყველა პაციენტში როგორც მწვავე ბალონური სინდრომის ისე მიოკარდიუმის მწვავე ინფარქტის ჯგუფში.

წინამორბედი კვლევების მონაცემების მსგავსად [33,52,3,4,5] ჩვენს კვლევაშიც დაფიქსირდა კარდიული მარკერების კონცენტრაციის მომატება პაციენტებში მწვავე ბალონური სინდრომით, ლიტერატურაში არსებული მონაცემების მიხედვით პოზიტიური კარდიული მარკერები აღიენიშნებათ აპიკალური ბალონური სინდრომის მქონე პაციენტთა საშუალოდ 73.9 %-ს (დიაპაზონი სხვადასხვა კვლევის მიხედვით მერყეობს 40-100%-ს შორის) [203,204],

ჰოსპიტალიზაციის მომენტისათვის ტროპონინის მომატებული კონცენტრაცია აღინიშნა მწვავე ბალონური სინდრომის მქონე 20 პაციენტში და მიოკარდიუმის მწვავე ინფარქტის ჯგუფში 19 პაციენტში, შესაბამისად კრეატინფოსფოკინაზას მომატებული კონცენტრაცია დაფიქსირდა მწვავე ბალონური სინდრომის მქონე 12 და მიოკარდიუმის მწვავე ინფარქტის მქონე 10 პაციენტში (სურათი 12).

ტროპონინის საწყისი მაჩვენებელი მწვავე მწვავე ბალონური სინდრომის ჯგუფში მერყეობდა 0.01 ნგ/მლ დან 2.5 ნგ/მლ მდე და საშუალოდ შეადგენდა  $0.42 \pm 0.52$  ნგ/მლ-ს. მაშინ როდესაც მიოკარდიუმის მწვავე ინფარქტის ჯგუფში

ტროპონინის შედარებით მაღალი საწყისი მაჩვენებელი დაფიქსირდა  $1.9 \pm 2.2$  ნგ/მლ (დიაპაზონი 0.01 დან 6.9 მგ/მლ-მდე) ( $P=0.0032$ ).


მნიშვნელოვანი განსხვავება გამოვლინდა საკვლევე ჯგუფებს შორის კრეატინფოსფოკინაზას საწყისი მაჩვენებელთან დაკავშირებითაც. მიოკარდიუმის მწვავე ინფარქტის ჯგუფში კრეატინფოსფოკინაზაც საწყისი საშუალო მაჩვენებელი შეადგენდა  $1204.8 \pm 1404.7$  I/ს-ს (დიაპაზონი 86 დან 4946 I/ს-მდე), მაშინ როდესაც მწვავე ბალონური სინდრომის მქონე პაციენტებში კრეატინფოსფოკინაზას საწყისი კონცენტრაცია უმნიშვნელოდ იყო მომატებული ( $185 \pm 183.5$ , დიაპაზონი 10-დან 699 I/ს-მდე) მნიშვნელოვნად დაბალი იყო საკონტროლო ჯგუფთან შედრებით ( $P=0.0004$ )

კარდიული მარკერების პიკური კონცენტრაცია ორივე საკვლევე ჯგუფში დაფიქსირდა სიმპტომების განვითარებიდან საშუალოდ 12-24 საათის შემდეგ. როგორც კარდიული ტროპონინის ისე კრეატინფოსფოკინაზას კონცენტრაციის მატება აღინიშნა ორივე საკვლევი ჯგუფის ყველა პაციენტში, თუმცა მიოკარდიუმის მწვავე ინფარქტის ჯგუფში გამოვლინდა ტროპონინის ისე კრეატინფოსფოკინაზას კონცენტრაციის მნიშვნელოვანი ზრდა, მაშინ როდესაც მწვავე

ბალონური სინდრომის ჯგუფში კარდიული მარკერების კონცენტრაცია უმნიშვნელოდ გახლდათ მომატებული და სტატისტიკურად მნიშვნელოვნად დაბალი იყო საკვლევე ჯგუფთან მიმართებაში ( $P<0.0001$ ) (ცხრილი 9)

## სურათი 12

კარდიული მარკერების მომატება ინიციალური შეფასებისას პაციენტებში მწვავე ბალონური სინდრომით და მიოკარდიუმის მწვავე ინფარქტით



ცხრილი 9

კარდიული მარკერების კონცენტრაცია პაციენტებში მწვავე ბალონური სინდრომით და მიოკარდიუმის მწვავე ინფარქტით

	მწვავე ბალონური სინდრომი	მ.მ.ი	P
<b>საწყისი მაჩვენებლები</b>			
<b>Troponin T (ng/mL)*</b>	<b>0.42 ± 0.52 (0.01 to 2.5)</b>	<b>1.9 ± 2.2 (0.01 to 6.9)</b>	<b>0.0032</b>
<b>Cretine kinase (U/L) **</b>	<b>185 ± 183.5 (10 to 699)</b>	<b>1204.8 ± 1404.7 (86 to 4946)</b>	<b>0.0004</b>
<b>პიკური მაჩვენებელი</b>			
<b>Troponin T (ng/mL)*</b>	<b>0.6 ± 0.56 (0.1 to 2.5)</b>	<b>5.6 ± 4.7 (0.3 to 15.4)</b>	<b>&lt;0.0001</b>
<b>Creatine Kinase (U/L)**</b>	<b>236.3 ± 183.3 (51 to 699)</b>	<b>2224.1 ± 1878.6 (327 to 6861)</b>	<b>&lt;0.0001</b>

ნორმული პარამეტრები: CK < 145 U/l; Troponin T < 0.1ng/mL

\* აპიკალური ბალონური სინდრომის ჯგუფი - 26 პაციენტში, და მმი-ის ჯგუფი 24 პაციენტი

\*\* აპიკალური ბალონური სინდრომის ჯგუფი - 30 პაციენტი, და მმი-ის ჯგუფი 30 პაციენტი



მწვავე ბალონური სინდრომის მქონე 10 და მიოკარდიუმის მწვავე ინფარქტის მქონე 8 პაციენტში ჰოსპიტალიზაციის მწვავე პერიოდში (ჰოსპიტალიზაციის პირველ ან მეორე დღეს) განსაზღვრული იყო სისხლში თავის ტვინის ნატრიურული პეპტიდის (BNP) კონცენტრაცია.

ორივე საკვლევი ჯგუფის ყველა პაციენტში დაფიქსირდა მომატებული მაჩვენებელი, თუმცა აღსანიშნავია, რომ ბალონური სინდრომის მქონე პაციენტებში BNP-ის კონცენტრაცია მნიშვნელოვნად მაღალი იყო მიოკარდიუმის ინფარქტის მქონე პაციენტებთან შედარებით (შესაბამისად 937.9 +/- 555.4 (378 - 2004) და 276 +/- 150 (152 - 560) p=0.006)

მწვავე ბალონური სინდრომის მქონე 7 და მიოკარდიუმის მწვავე ინფარქტის მქონე 5 პაციენტში განსაზღვრული იყო 24 საათიან შარდში თავისუფალი კატექოლამინების: ეპინეფრინის, ნორეპინეფრინის და დოფამინის კონცენტრაცია.

შარდში კატექოლამინების კონცენტრაციის მცირედი მატება დაფიქსირდა ბალონური სინდრომის მქონე 2 პაციენტში, მიოკარდიუმის მწვავე ინფარქტის ჯგუფში შარდით გამოყოფილი კატექოლამინების რაოდენობა ნორმის ფარგლებში იყო (p=0.46).

### 3. 5 კორონარული ანგიოგრაფიის და მარცხენა პარკუჭის ვენტრიკულოგრაფიული გამოკვლევის შედეგები პაციენტებში მწვავე ბალონური სინდრომით და მიოკარდიუმის მწვავე ინფარქტით

კორონარული ანგიოგრაფიული გამოკვლევა ჩატარებულ იქნა ორივე საკვლევი ჯგუფის (მწვავე ბალონური სინდრომი და მიოკარდიუმის მწვავე ინფარქტი) ყველა პაციენტში. ბალონური სინდრომის მქონე პაციენტების ჯგუფში სიმპტომების აღმოცენებიდან საშუალოდ 25.1 +/-21 და მიოკარდიუმის მწვავე ინფარქტის ჯგუფში მწვავე კლინიკური პრეზენტაციიდან საშუალოდ 3.4 ±1.8 სთ-ში.


მწვავე ბალონური სინდრომის მქონე 29 და მიოკარდიუმის მწვავე ინფარქტის მქონე 20 პაციენტს ასევე ჩატარდა მარცხენა პარკუჭის ვენტრიკულოგრაფიული გამოკვლევა.

კორონაროგრაფიული გამოკვლევით მწვავე ბალონური სინდრომის ჯგუფში არცერთ შემთხვევაში არ გამოვლინდა კლინიკურად მნიშვნელოვანი კორონარული სტენოზის (შევიწროება >50% კორონარული არტერიის დიამეტრის) ან მწვავე თრომბოზის არსებობა. 14 პაციენტის შემთხვევაში დაფიქსირდა სრულიად ინტაქტური კორონარების არსებობა, ხოლო დანარჩენ 16 შემთხვევაში კორონარული სტენოზირების ხარისხი <50%. (6 შემთხვევაში წინა დაღმავალ არტერიაზე (mid LAD) <40%, 4 პაციენტში მარცხენა შემომხვევ კორონარულ არტერიაზე (LCx) <40%, 1 შემთხვევაში დეროზე (LMA) <30%, 4 პაციენტში მარჯვენა კორონარულ არტერიაზე (RCA) <40%, და 1 შემთხვევაში muscle bridge (mid LAD).

მიოკარდიუმის მწვავე ინფარქტის ჯგუფში 30 პაციენტში აღინიშნა წინა დაღმავალი არტერიის (LAD) კლინიკურად მნიშვნელოვანი კორონარული სტენოზირების ან მწვავე ოკლუზიის ანგიოგრაფიული სურათი. 16 შემთხვევაში (53.3%) პროქსიმალური და 14 შემთხვევაში (46.7%) შუა სეგმენტის. ყველა შემთხვევაში განხორციელდა წარმატებული რევასკულარიზაცია სტენტის იმპლანტაციით.

მწვავე ბალონური სინდრომის ჯგუფში 29 შემთხვევაში და მიოკარდიუმის მწვავე ინფარქტის 20 პაციენტში ჩატარდა მარცხენა პარკუჭის ვენტრიკულოგრაფია. მწვავე ბალონური სინდრომის ჯგუფში გამოვლინდა რეგიონალური კუმშვადი

ფუნქციის დარღვევის სპეციფიური სურათი, მკვეთრად დარღვეული შუა და/ან აპიკალური სეგმენტების კუმშვადი ფუნქციით და ბაზალური სეგმენტების ჰიპერკონტრაქტილური ფუნქციით აპიკალური ბალონური სინდრომის მქონე 28 პაციენტში (სურათი 13), ხოლო 2 შემთხვევაში ვენტრიკულოგრაფიით დემონსტრირებულ იქნა მარცხენა პარკუჭის ბაზალური სეგმენტების და მწვერვალის ნორმალური კუმშვადობის ფონზე შუა სეგმენტების გამოსატული აკინეზია, (ბალონური სინდრომის ე.წ. მიდვენტრიკულური ფორმა).



(ა)

(ბ)

სურათი 13

მწვავე ბალონური სინდრომი, ვენტრიკულოგრაფია, მარცხენა პარკუჭის საბოლოო დიასტოლური (ა) და საბოლოო სისტოლური (ბ) გამოსახულება

### 3. 6 კლინიკური მიმდინარეობა და გართულებები პაციენტებში მწვავე ბალონური სინდრომით და მიოკარდიუმის მწვავე ინფარქტით

ორივე ჯგუფში პაციენტების ჰოსპიტალიზაციის ხანგრძლივობა პრაქტიკულად იდენტური იყო. ჰოსპიტალიზაციის საშუალო ხანგრძლივობა პაციენტებში მწვავე ბალონური სინდრომით შედგენდა 8.5 +/-5.2 დღეს (დიაპაზონით 2-23) და მიოკარდიუმის მწვავე ინფარქტის ჯგუფში 10 +/- 6.9 (3-28) (p=NS).

მწვავე ბალონური სინდრომის ჯგუფში დაფიქსირდა ჰოსპიტალშია სიკვდილობის ნულოვანი მაჩვენებელი, მიოკარდიუმის მწვავე ინფარქტის ჯგუფში სიკვდილობის მაჩვენებელმა შედგინა 10 %. მიოკარდიუმის მწვავე ინფარქტის ჯგუფში ჰოსპიტალიზაციის პერიოდში გართულებების სიხშირე მცირედ მაღალი იყო მწვავე ბალონური სინდრომის მქონე პაციენტებთან შედარებით (ცხრილი 10), თუმცა როგორც სიკვდილობის მაჩვენებლის, ისე გართულებების სიხშირის თვალსაზრისით ჯგუფებს შორის სტატისტიკურად სარწმუნო განსხვავება არ დაფიქსირდა.

ცხრილი 10. ჰოსპიტალიზაცია გართულებები

	მბს (n=30)	მმი (n=30)	P Value
ჰოსპიტალიზაციის ხანგრძლივობა (n )	8.5 ± 5.2 (3 - 23)	10 ± 6.9 (3 - 30)	0.34
გართულებები	5 (16.6%)	11 (36.7%)	0.14
VT/ პარკუჭოვანი ფიბრილაცია, n (%)	1(3.3%)	4 (13.3%)	0.35
ფილტვების შეშუპება n (%)	3 (10%)	4 (13.3%)	1
მოციმციმე არიტმიის პაროქსიზმი, n (%)	1 (3.3%)	4 (13.3%)	0.35
ღვიძლის მწვავე იშემიური დაზიანება, n (%)	0	1 (3.3%)	1
კარდიული ინოტროპული საშუალებების გამოყენება, n (%)	2 (13.3%)	7 (23.3%)	0.14
სიკედილობა, n (%)	0	3 (10%)	0.24

**3.7 კლინიკური და დემოგრაფიული მახასიათებლები, ნევროლოგიური დაზიანების სიმძიმე და ანევრიზმის ლოკალიზაცია პაციენტებში ანევრიზმული სუბარაქნოიდული ჰემორაგიის ფონზე არსებული ტრანზიტორული კარდიომიოპათიით და კარდიული დისფუნქციის გარეშე**

2007-2011 წლებში მწვავე სუბარაქნოიდული სისხლჩაქცევის გამო კლინიკაში ჰოსპიტალიზირებული 129 პაციენტიდან კვლევაში ჩაერთო 95 პაციენტი, 42 (44.2%) ქალი და 53 (55.7%) მამაკაცი საშუალო ასაკით  $55 \pm 16$  (დიაპაზონი 34-72წ).

14 პაციენტი გამორიცხულ იქნა კვლევიდან ანამნეზში არსებული სხვადასხვა კარდიული პათოლოგიის არსებობის გამო, 20 შემთხვევაში არ იყო ჩატარებული ექოკარდიოგრაფიული გამოკვლევა.

პაციენტები გადანაწილდნენ ორ ჯგუფში მარცხენა პარკუჭის გლობალური და სეგმენტური კუმშვადი ფუნქციის მდგომარეობის მიხედვით. 16 შემთხვევაში ინიციალური ექოკარდიოგრაფიული გამოკვლევისას დაფიქსირდა მარცხენა პარკუჭის კუმშვადი ფუნქციის გლობალური და/ან რეგიონული დარღვევა (ანევრიზმული სუბარაქნოიდული ჰემორაგიის ფონზე არსებული კარდიომიოპათია), ხოლო დანარჩენი 79 პაციენტის შემთხვევაში გამოვლინდა მარცხენა პარკუჭის ნორმალური სისტოლური ფუნქცია.

საკვლევ ჯგუფებში ყურადღებით იქნა შესწავლილი და შეფასებული დემოგრაფიული, ანამნეზური და კლინიკური მახასიათებლები.

ასაკობრივი მონაცემები ორივე საკვლევ ჯგუფში პრაქტიკულად იდენტური გახლდათ: საშუალო ასაკი პირველ საკვლევ ჯგუფში ( $58 \pm 9$  დიაპაზონი 43-72) და შესაბამისად პაციენტებში კარდიული დისფუნქციის გარეშე ( $53 \pm 14$  დიაპაზონით 34-68). თუმცა მიოკარდიუმის კუმშვადი დისფუნქციის მქონე პაციენტებში მნიშვნელოვნად ჭარბობდა ქალების პროცენტული გადანაწილება (68.7% და შესაბამისად 39.2%).

არ გამოვლინდა განსხვავება საკვლევ ჯგუფებს შორის სხეულის მასის ინდექსის და კორონარული რისკის ფაქტორების არსებობის თვალსაზრისით.

ორივე ჯგუფში პაციენტების შესაბამისად 8 (50%) და 40 (%) პაციენტს აღენიშნებოდათ ანამნეზში არტერიული ჰიპერტენზია, 3 პაციენტს I ჯგუფიდან და 19-ს II ჯგუფიდან გამოუვლინდათ დისლიპიდემია ( $p=NS$ ), შესაბამისად 1 და 10-ს ორივე ჯგუფიდან დიაგნოსტირებული ჰქონდა შაქრიანი დიაბეტი. ორი ან რამდენიმე კორონარული რისკის ფაქტორის ერთდროული თანაარსებობის თვალსაზრისითაც ჯგუფებს შორის სტატისტიკურად მნიშვნელოვანი სხვაობა არ დაფიქსირდა (ცხრილი 11).

პაციენტებში ნევროლოგიური დაზიანების სიმძიმე ფასდებოდა კლინიკაში ჰოსპიტალიზაციის მომენტისათვის Hunt Hess-ის შკალის მიხედვით (I - ასიმპტომური, ან გამოსატულია მსუბუქი თავის ტკივილი; II – საშუალო ან მკვეთრად გამოსატული თავის ტკივილი, ნევროლოგიური დეფიციტის ნიშნები გამოსატული არაა; III – გამოსატულია გაბრუნება და მინიმალური ნევროლოგიური დეფიციტი; IV – სტუპორი; V – დრმა კომა).

ნევროლოგიური სიმძიმის საშუალო სუმატული მაჩვენებელი ორივე ჯგუფში წარმოადგენდა  $2.15 \pm 1.1$ . თუმცა, პაციენტებს, მარცხენა პარაკუჭის კუმშვადი დისფუნქციით გააჩნდათ II საკვლევე ჯგუფთან შედარებით მძიმე ნევროლოგიური დარღვევები (Hunt Hess –  $2.75 \pm 1.2$  და შესაბამისად  $2.0 \pm 1$ )  $P=0.03$ , ინიციალური ნევროლოგიური სტატუსის შეფასებისას კარდიული დისფუნქციის მქონე შემთხვევათა 56.25%-ში (9 პაციენტი) ნევროლოგიური სტატუსი შეფასდა როგორც  $\geq 3$ , მაშინ როდესაც მეორე ჯგუფში მხოლოდ 27.8%-ში (22 პაციენტი) გამოვლინდა Hunt-Hess  $\geq 3$  ( $P=0.04$ ). (გრაფიკი 2 )

კომპიუტერული ტომოგრაფიული გამოკვლევა ჩატარდა სიმპტომების განვითარებიდან საშუალოდ  $2.3 \pm 1.6$  დღეში. ჯგუფებს შორის აღინიშნა საგულისხმო სხვაობა ანევრიზმის ლოკალიზაციის თვალსაზრისით: (ცხრილი 11). 41 შემთხვევაში (11 პაციენტში მიოკარდიუმის კუმშვადი დისფუნქციით და 30 ნორმალური კუმშვადი ფუნქციით) ანევრიზმა ლოკალიზებული იყო წინა შემაერთებული არტერიის აუზში, 44 შემთხვევაში (შესაბამისად 4 და 40 შემთხვევაში) თავის ტვინის შუა არტერიის აუზში, 7 პაციენტის შემთხვევაში ანევრიზმა ლოკალიზებული გახლდათ უკანა ცერებრალური არტერიის აუზში (შესაბამისად 1 შემთხვევაში პირველი ჯგუფიდან და 6 პაციენტში მეორე ჯგუფიდან), 3 პაციენტში მარცხენა პარაკუჭის ნორმალური კუმშვადი ფუნქციით



და არცერთ პაციენტში მარცხენა პარკუჭის კუმშვადი დისფუნქციით ანეკრიზმა  
ლოკალიზებული იყო ვერტებრალური ან ბაზილარული არტერიის აუზში.

ცხრილი 11 კლინიკური მახასიათებლები ანევრიზმული სუბარაქნოიდული ჰემორაგიის მქონე პაციენტებში მარცხენა პარაკუჭის სისტოლური დისფუნქციით (I ჯგ) და სისტოლური დისფუნქციის გარეშე (II ჯგ)


	I ჯგუფი (16)	II ჯგუფი (79)	P
ასაკი (წ)	58 ± 9 (43 - 72)	53 ± 14 (34 - 68)	0.08
ქალი, n (%)	11 (68.7 %)	31 (39.2 %)	0.05
BMI (კგ/მ <sup>2</sup> )	23.9 ± 4.1	24.1 ± 4.3	0.86
გიდ რისკის ფაქტორები			
ჰიპერტენზია, n (%)	8 (50%)	40 (50.6%)	1
დისლიპიდემია, n (%)	3 (18.75%)	19 (24%)	0.75
შაქრიანი დიაბეტი, n (%)	1 (6.25%)	10 (12.6%)	0.68
აქტიური მწეველი n (%)	7 (43.75%)	49 (62%)	0.26
გიდ ოჯახური ანამნეზი, n (%)	2 (12.5%)	18 (22.7%)	0.51
Hunt-Hess ინდექსი	2.75+/-1.2	2.0+/- 1.0	0.03*
Hunt-Hess ≥ 3	9 (56.25%)	22 (27.8%)	0.04*
ანევრიზმის ლოკალიზაცია			
წინა შემაერთებელი არტერიის აუზი	11	30	0.03*
შუა ცერებრალური არტერიის აუზი	4	40	0.40
უკანა ცერებრალური არტერიის აუზი	1	6	1
ბაზილარული და ვერტებრალური არტერიის აუზი	0	3	1

\* სტატისტიკურად სარწმუნო სხვაობა


გრაფიკი 2

ნევროლოგიური დაზიანების სიმძიმე პაციენტებში ანევრიზმული სუბარაქნოიდული ჰემორაგიის ფონზე (ა) მარცხენა პარაკუჭის კუმშვადი დისფუნქციით და (ბ) კუმშვადი დისფუნქციის გარეშე

(ა)



(ბ)



### 3.8 ელექტროკარდიოგრაფიული ცვლილებები პაციენტებში ანევრიზმული სუბარაქნოიდული ჰემორაგიის ფონზე არსებული ტრანზიტორული კარდიომიოპათიით და კარდიული დისფუნქციის გარეშე

ელექტროკარდიოგრაფიული გამოკვლევა ყველა პაციენტთან ორივე საკვლევ ჯგუფში ჩატარებულ იქნა სუბარაქნოიდული ჰემორაგიის კლინიკური სიმპტომების აღმოცენებიდან 3+/- 1.4 დღეში.

ინიციალური ელექტროკარდიოგრაფიული გამოკვლევისას ორივე საკვლევი ჯგუფის ყველა პაციენტში აღინიშნებოდა სინუსური რითმი.

გულის შეკუმშვათა საშუალო სიხშირის მონაცემი ორი ჯგუფის პაციენტებს შორის მნიშვნელოვნად არ განსხვავდებოდა (შესაბამისად  $73 \pm 15$  (50-102) და  $77 \pm 18$  (45 - 125)  $P=0.36$ . ბრადიკარდია (გცს<60შ/წთ) აღინიშნა I-ში 4 და მეორე ჯგუფში 11 შემთხვევაში.

კლინიკური მიმდინარეობისას ელექტროკარდიოგრაფიული ცვლილებების შედარებით მაღალი სიხშირე დაფიქსირდა პაციენტებში მარცხენა პარკუჭის სისტოლური დისფუნქციით. შემთხვევათა 3/4 ში (12 პაციენტი) გამოვლინდა სხვადასხვა ტიპის ელექტროკარდიოგრაფიული ცვლილება, რაც ყველაზე ხშირად რეპოლარიზაციის ფაზის დარღვევის სახით იყო წარმოდგენილი, სისტოლური დისფუნქციის მქონე 4 პაციენტის შემთხვევაში ელექტროკარდიოგრაფიულად დაფიქსირდა პათოლოგიური S კბილები, 4 შემთხვევაში T კბილის ღრმა ინვერსია პრეკორდიალურ განხრებში და 7 პაციენტს გამოუვლინდა QT კორექტირებული ინტერვალის პროლონგირება (სურათი 13). მაშინ როდესაც, პაციენტებში მარცხენა პარკუჭის ნორმალური სისტოლური ფუნქციით სხვადასხვა ტიპის ელექტროკარდიოგრაფიული დარღვევები შემთხვევათა მხოლოდ 24%-ში (19 შემთხვევაში) გამოვლინდა ( $P<0.001$ ), და უხშირესად QT ინტერვალის პროლონგირებით და პათოლოგიური S კბილების არსებობით იყო განპირობებული. (სურათი 14,15,16)

4 პაციენტს I და 10-ს II საკვლევ ჯგუფში მონიტორირებისას ჰისპიტალიზაციის პირველ 48 საათში გამოუვლინდა სხვადასხვა ტიპის რიტმის დარღვევა (ხშირი პარკუჭოვანი ექსტრასისტოლია, პარკუჭოვანი ბიგემინიის ეპიზოდები, სუპრავენტრიკულური ტაქიკარდიის ხანმოკლე ეპიზოდი), თუმცა არიტმიის


არსებობის თვალსაზრისით ჯგუფებს შორის სტატისტიკურად მნიშვნელოვანი სხვაობა არ დაფიქსირდა (ცხრილი 12).

ცხრილი 12 ეკვ მასსიათებლები ანეგრიზომული სუბარაქნოიდული ჰემორაგიის მქონე პაციენტებში სისტოლური დისფუნქციით (I ჯგ) და სისტოლური დისფუნქციის გარეშე (II ჯგ)


	I ჯგუფი (16)	II ჯგუფი (79)	P
T-კბილის ინვერსია	4 (25%)	2 (2.5%)	0.006*
U-კბილის არსებობა	4 (25%)	10 (12.6%)	0.24
QT-ინტერვალის პროლონგირება	7 (43.7%)	18 (22.8%)	0.106
ST-სეგმენტის დეპრესია	3 (18.7%)	1 (1.26%)	0.01*
HR	73 ± 15 (50-102)	77 ± 18 (45 - 125)	0.36
PR	185 ± 38 ms (140-250)	170 ± 32 (112 - 230)	0.15
QTc	447 ± 104ms (340-576)	426 ± 32 (420 - 481)	0.43
ბრადიკარდია	4 (25%)	11 (13.9%)	0.25
პარკუჭოვანი ექსტრასისტოლია	2 (12.5%)	10 (12.6%)	1
სუპრავენტრიკულური პაროქსიზმული ტაქიკარდია	1 (6.25%)	2 (2.5%)	0.42

\* სტატისტიკურად სარწმუნო სხვაობა

სურათი 14. ელექტროკარდიოგრაფიული ცვლილებები პაციენტებში მარცხენა პარკუჭის კუმშვადი დისფუნქციით




სურათი 15. ელექტროკარდიოგრაფიული ცვლილებები პაციენტში სუბარაქნოიდული ჰემორაგიის ფონზე განვითარებული კარდიული დისფუნქციით





სურათი 16. T კბილის სპეციფიური ცვლილებები პაციენტში სუბარაქნოიდული ჰემორაგიის ფონზე განვითარებული კარდიული დისფუნქციით



**3.9 კარდოსპეციფიკური მარკერების მაჩვენებლები პაციენტებში  
ანევრიზმული სუბარაქნოიდული ჰემორაგიის ფონზე არსებული  
ტრანზიტორული კარდიომიოპათიით და კარდიული დისფუნქციის გარეშე**


18 პაციენტში ( 10 პაციენტში მარცხენა პარკუჭის სისტოლური დისფუნქციით და 8 პაციენტში მარცხენა პარკუჭის ნორმალური სისტოლური ფუნქციით) განსაზღვრული იყო კარდიული ტროპონინის (cTnI ) კონცენტრაცია კლინიკური პრეზენტაციის მომენტიდან საშუალოდ  $3 \pm 1.7$  დღის შემდეგ.

მარცხენა პარკუჭის სისტოლური დისფუნქციის მქონე 7 შემთხვევაში (70%) აღინიშნა კარდიული მარკერის პოზიტიური მაჩვენებელი, მაშინ როდესაც მარცხენა პარკუჭის ნორმალური კუმშვადი ფუნქციის არსებობისას მხოლოდ 1 (%) შემთხვევაში გამოვლინდა კარდიული ტროპონინის მაჩვენებლის ნორმიდან გადახრა ( $P=0.024$ ).

მარცხენა პარკუჭის სისტოლური დისფუნქციის მქონე პაციენტებში ასევე მნიშვნელოვნად მაღალი იყო cTnI საშუალო მაჩვენებელი საკონტროლო ჯგუფთან შედარებით ( $1.6 \pm 1.8$  და  $0.15 \pm 0.3$ )  $P=0.03$  (გრაფიკი 3)

### გრაფიკი 3

**Troponin I-ს მონაცემები პაციენტებში მწვავე სუბარაქნოიდული ჰემორაგიის ფონზე არსებული კარდიომიოპათიით და პაციენტებში მარცხენა პარკუჭის ნორმალური სისტოლური ფუნქციით**




**3.10 ექოკარდიოგრაფიული მონაცემები პაციენტებში ანევრიზმული სუბარაქნოიდული ჰემორაგიის ფონზე არსებული ტრანზიტორული კარდიომიოპათიით და კარდიული დისფუნქციის გარეშე**

ინიციალური ექოკარდიოგრაფიული გამოკვლევა ჩატარდა სუბარაქნოიდული ჰემორაგიის კლინიკური სიმპტომების მანიფესტირებიდან საშუალოდ 2.1 +/-1.4 დღის შემდეგ. 16 პაციენტში გამოიხატა მარცხენა პარკუჭის სისტოლური დისფუნქცია (მარცხენა პარკუჭის განდევნის ფრაქციის საშუალო მაჩვენებელი EF-49.8+/-9.4 (34 – 63%). 10 შემთხვევაში მანიფესტირებული იყო გლობალური კუმშვადი ფუნქციის დიფუზური დაქვეითება, და რიგ შემთხვევებში გამოხატული სეგმენტური დისფუნქცია, ხოლო 6 პაციენტში გამოიხატა რეგიონალური ასინერგიის უბნები, ნორმალური გლობალური კუმშვადობის ფონზე (სურათი 17).

დისინერგიის უბნები უპირატესად მოიცავდა მარცხენა პარკუჭის წინა, წინასეპტალური და ქვედასეპტალური კედლის შუა და ბაზალურ სეგმენტებს.

სურათი 17

მარცხენა პარკუჭის კუმშვადი ფუნქციის მონაცემები პაციენტებში მწვავე სუბარაქნოიდული ჰემორაგიის ფონზე არსებული კარდიომიოპათიით




ინიციალური შეფასებიდან საშუალოდ  $23\pm 4.2$  დღეში კუმშვადი დისფუნქციის მქონე 8 პაციენტში ჩატრებული განმეორებითი ექოკარდიოგრაფიული გამოკვლევისას 6 შემთხვევაში მარცხენა პარკუჭის სისტოლური ფუნქციის სრული ნორმალიზაცია გამოვლინდა  $EF-60.6\pm 1.9$  (მარცხენა პარკუჭის განდევნის ფრაქციის დიაპაზონი 48 – 63%). (გრაფიკი 4)

პაციენტებში მარცხენა პარკუჭის სისტოლური დისფუნქციის გარეშე აღინიშნა გლობალური სისტოლური ფუნქციის ნორმალური მაჩვენებელი, და რეგიონალური კუმშვადი ფუნქციის შენახული მოდელი, თუმცა აღსანიშნავია ის ფაქტიც, რომ შემთხვევათა 1/3-ში გამოსატული იყო მარცხენა პარკუჭის ჰიპერდინამიური სისტოლური ფუნქცია.

გრაფიკი 4

განდევნის ფრაქციის ინიციალური და განმეორებითი მაჩვენებელი პაციენტებში მარცხენა პარკუჭის სისტოლური დისფუნქციით



### 3.11 კლინიკური მიმდინარეობა და გართულებები პაციენტებში ანევრიზმული სუბარაქნოიდული ჰემორაგიის ფონზე არსებული ტრანზიტორული კარდიომიოპათიით და კარდიული დისფუნქციის გარეშე

კრანოტომია და ანევრიზმის ქირურგიული კლიპირების ოპერაცია ჩატარებულ იქნა 69 პაციენტში ორივე საკვლევი ჯგუფიდან, რომელთაგან 58 შემთხვევაში განხორციელდა ადრეული ქირურგიული ჩარევა (სიმპტომების აღმოცენებიდან პირველი 48 საათის განმავლობაში), ხოლო 11 შემთხვევაში მოგვიანებითი ქირურგიული ჩარევა (სიმპტომების აღმოცენებიდან საშუალოდ  $16 \pm 2$  დღის შემდეგ).

პაციენტთა 60%-ში (10 პაციენტი I საკვლევი ჯგუფიდან და 47 მეორე საკვლევი ჯგუფიდან) კლინიკური მიმდინარეობისას აღმოცენდა ცერებრული ვაზოსპაზმი, თუმცა აღსანიშნავია ის ფაქტი რომ სიმპტომური ვაზოსპაზმი განუვითარდა პაციენტთა მხოლოდ 1/4-ს (6-ს პირველი საკვლევი ჯგუფიდან და 18-ს მეორე საკვლევი ჯგუფიდან). სიმპტომური ვაზოსპაზმის დიაგნოსტირება ხდებოდა დოპლეროგრაფიული ან ანგიოგრაფიული მონაცემების და კლინიკური მიმდინარეობისას მოგვიანებითი იშემიური კეროვანი დეფიციტის აღმოცენების საფუძველზე.

კარდიული დისფუნქციის მქონე პაციენტებში აღინიშნა ადრეული სიმპტომური ვაზოსპაზმის აღმოცენების მაღალი მაჩვენებელი იმ პაციენტებთან შედარებით რომელთაც აღენიშნებოდათ მარცხენა პარაკუჭის ნორმალური კუმშვადობა ( $P=0.04$ ).

ექსპერიმენტული მოდელიდან ცნობილია, რომ კალციუმ-დამოკიდებული და კალციუმ-დამოუკიდებელ ვაზოკონსტრიქცია საფუძველად უდევს ვაზოსპაზმის განვითარებას. ზემოთ აღნიშნული მულტიფაქტორული პროცესია და მრავალი კომპონენტის ურთიერთქმედების შედეგად აღმოცენდება. სისხლის დაშლის პროდუქტების (კერძოდ ოქსიჰემოგლობინის) სუბარაქნოიდულ სივრცეში მოხვედრა, თავისუფალი რადიკალების ზემოქმედება, ვაზოკონსტრიქციულ და ვაზორეაქტიულ სუბსტანციებს შორის დისბალანსი, ანთებითი პროცესის მედიატორების გამოთავისუფლება, ენდოთელიარული პროლიფერაცია და აპოპტოზი განიხილება ძირითად გამწვევ პათოგენეზურ მექანიზმებად [147].



პაციენტებში მარცხენა პარკუჭის სისტოლური დისფუნქციით გამოვლინდა გართულებების სუმა რული მაჩვენებლის და სიკვდილობის სტატისტიკურად მნიშვნელოვნად მაღალი მონაცემი ( $P=0.035$ ). (ცხრილი 13) სიკვდილის ყველა შემთხვევა განპირობებული იყო მძიმე ნევროლოგიური სტატუსით, და ამ პაციენტებში დაფიქსირებული იყო გენერალიზებული ცერებრული ვაზოსპაზმი.

ცხრილი 13 კლინიკური მიმდინარეობა და გამოსავალი ანევრიზმული სუბარაქნოიდული ჰემორაგიის მქონე პაციენტებში მარცხენა პარაკუჭის სისტოლური დისფუნქციით (I ჯგ) და სისტოლური დისფუნქციის გარეშე (II ჯგ)

	I ჯგუფი (16)	II ჯგუფი (79)	P
ქირურგიული კლიპირების ოპერაცია	11	58	0.5
ადრეული ჩარევა	8	50	0.68
მოგვიანებითი ჩარევა	3	8	0.68
სიმპტომური ვაზოსპაზმი	6	18	0.2
ადრეული	5	8	0.04*
თ.ტ-ის კეროვანი დაზიანების სიმპტომები	1	2	0.42
განმეორებითი სისხლდენა	0	2	1
პნევმონია	0	1	1
ფილტვების მწვავე შეშუპება	1	0	
ოკლუზიური ჰიდროცეფალია	2	1	0.07
გართულებების სუმარული მაჩვენებელი	7	22	0.039*
სიკვდილობა	6	11	0.035*

#### IV მიღებული შედეგების განხილვა

ჩვენმა კვლევამ გაამყარა უკვე არსებული მონაცემები იმის სასარგებლოდ, რომ მწვავე ბალონური სინდრომის კლინიკური მანიფესტაცია ჩვეულებრივ მწვავე კორონარული სინდრომის კლინიკური გამოვლინების იდენტურია, და მხოლოდ სიმპტომოლოგიური შეფასებით შეუძლებელია ამ ორი პათოლოგიის დიფერენციალური დიაგნოსტიკა.

მწვავე ბალონური სინდრომის აღმოცენება ხშირ შემთხვევაში ასოცირებულია ანამნეზში სხვადასხვა ტიპის სტრესული ფაქტორის არსებობასთან, 23 (76.6%) პაციენტის შემთხვევაში შესაძლებელი გახდა სინდრომის აღმოცენების მაპროვოცირებელი სტრესული ფაქტორის იდენტიფიცირება (ემოციური სტრესის 9 შემთხვევაში და სხვადასხვა გენეზის ფიზიკური სტრესორის არსებობა 14 შემთხვევაში), რაც მნიშვნელოვნად აღემატება მიოკარდიუმის მწვავე ინფარქტის ჯგუფში აღნიშნული ფაქტორის არსებობას ( $P < 0.0001$ ).

ფსიქოლოგიური თუ ფიზიკური სტრესული ფაქტორის ზეგავლენით პლაზმაში მოცირკულირე კატექოლამინების კონცენტრაცია უმწვავეს პერიოდში მატულობს, რაც სხვადასხვა კვლევის მონაცემებითაც დასტურდება [264, 9, 47], კატექოლამინების ჭარბი პროდუცირების და ცირკულაციაში მოხვედრის პირობებში მათი ზემოქმედება შესაძლებელია კარდიომიოციტებზე პირდაპირი სტიმულაციის (პირველადი მიოგენური ეფექტი) და/ან კატექოლამინებით ინდუცირებული მიკროვასკულური დისფუნქციის სახით გამოვლინდეს [214]. კატექოლამინების მაღალი კონცენტრაციის პირობებში მიოციტების პირდაპირი დაზიანება (გამოწვეული cAMP-ით განპირობებული კალციუმით დატვირთვით) მორფოლოგიურად კუმშვადი ჯაჭვების ნეკროზის ჰისტოლოგიური სურათით შეიძლება იყოს წარმოდგენილი [114, 119, 87, 264].

ჩვენ საკვლევ პოპულაციაში ბალონური სინდრომის მქონე პაციენტებში სისხლში მოცირკულირე კატექოლამინების კონცენტრაცია არ განსაზღვრულა, შარდში კატექოლამინების კონცენტრაცია განისაზღვრა მხოლოდ 7 პაციენტში და უმნიშვნელოდ მაღალი იყო მიოკარდიუმის მწვავე ინფარქტის ჯგუფთან შედარებით. არ ჩატარებულა მიოკარდიუმის ჰისტოლოგიური კვლევა, თუმცა

მაპროვოცირებელი სტრესული ტრიგერის არსებობის სტატისტიკურად მნიშვნელოვნად მაღალ მაჩვენებელს მიოკარდიუმის მწვავე ინფარქტის მქონე პაციენტებთან შედარებით ( $P < 0.0001$ ) შესაძლოა მნიშვნელოვანი პათოფიზიოლოგიური დატვირთვა გააჩნდეს და აღნიშნული ფაქტი ამყარებდეს მოსაზრებას სინდრომის განვითარების კატექოლამინერგული თეორიის სასარგებლოდ.

ისევე როგორც წინამორბედი კვლევებში [28, 29, 66] ჩვენს მიერ შესწავლილი ტრანზიტორული ბალონური სინდრომის მქონე პაციენტების უმრავლესობა (93.3%) პოსტმენოპაუზური ასაკის ქალბატონია (საშუალო ასაკი  $75 \pm 10.2$ ), ცალსახად ნათელი არაა, თუ რა შეიძლება იყოს მკვეთრი გენდერული განწყობის მიზეზი, ცნობილია რომ სასქესო ჰორმონები მნიშვნელოვან ზეგავლენას ახდენენ სიმპათიკურ ნეიროჰუმორულ რეაქციებზე, ისევე როგორც კორონარულ ვაზორეაქტიულობაზე. საინტერესოა, რომ მწვავე ტრანზიტორული სეგმენტურ-ბალონური კარდიომიოპათიის სხვადასხვა ფორმა უპირატესად მდებრობითი სქესის წარმომადგენლებში გვხვდება, რაც გარკვეულ პათოფიზიოლოგიურ განწყობაზე მიუთითებს, თუმცა კატექოლამინების მეტაბოლიზმის თავისებურებანი ქალებში და მამაკაცებში ერთობ კომპლექსურია, მამაკაცებში სიმპათიკური აქტივობის შედარებით მაღალი საწყისი დონე აღინიშნება [102,108], ემოციური სტრესის ფონზე პლაზმაში მოცირკულირე კატექოლამინების უფრო მაღალი კონცენტრაცია შეინიშნება [215], და კატექოლამინებით ინდუცირებული ვაზოკონსტრიქციის მიმართ მგრძობელობა გაზრდილია [116, 119], თუმცა ქალებში შეინიშნება გაზრდილი მზაობა სიმპატიკურად ინდუცირებული სტანინგის მიმართ [143].

მიოკარდიუმის მწვავე ინფარქტის მქონე პაციენტები არ განსხვავდებოდნენ ცალკეული კორონარული რისკის ფაქტორების არსებობის თვალსაზრისით მწვავე ბალონური სინდრომის მქონე პაციენტებისგან, თუმცა ამ უკანასკნელ ჯგუფში რამდენიმე კარდიოვასკულური რისკის ფაქტორის ერთდროული არსებობის შედარებით დაბალი მაჩვენებელი გამოვლინდა ( $1.83 \pm 0.69$ ) ( $P=0.004$ ). შესაძლოა ვივარაუდოთ, რომ, ხანდაზმული ასაკის მიუხედავად პაციენტთა გულის იშემიური დაავადების აღმოცენების რისკი აღნიშნული ჯგუფის პოპულაციაში შედარებით დაბალია, და სინდრომის აღმოცენებაში კორონარული ათეროსკლეროზის როლი ნაკლებად სავარაუდოა, რაც დასტურდება კიდევაც გულის მკვებავი

სისხლძარღვების ანგიოგრაფიული გამოკვლევისას კლინიკურად მნიშვნელოვანი (>50%) კორონარული სტენოზის არ არსებობით.

პირველად ჩვენს მიერ შესწავლილ მწვავე ბალონური სინდრომის მქონე პოპულაციაში დაფიქსირდა თანმხლები ნევროლოგიური პათოლოგიის არსებობის მაღალი სიხშირე (63.3%) რაც სტატისტიკურად მნიშვნელოვნად მაღალი იყო მიოკარდიუმის მწვავე ინფარქტის მქონე პაციენტებთან შედარებით ( $P=0.04$ ). 2010 წელს Summers-ის და კოლეგების მიერ გამოქვეყნებულ ნაშრომში გამახვილებულ იქნა ყურადღება ფაქტზე, რომ მწვავე აპიკალური ბალონური სინდრომის მქონე პაციენტებში დაფიქსირდა ქრონიკული ფსიქიატრიული პათოლოგიების მაღალი სიხშირე [251], ხოლო Burgdorf და კოლეგების მიერ წარმოდგენილ მასალაში მწვავე აპიკალური ბალონური სინდრომის მქონე პაციენტებში მაღალი სიხშირით გამოვლინდა სხვადასხვა ლოკალიზაციის ავთვისებიანი სიმსივნე [29]. გამოითქვა მოსაზრება, რომ ავთვისებიანი სიმსივნის მქონე პაციენტებს შესაძლოა აღენიშნებოდეთ მომატებული ბაზალური სიმპათიკური აქტივობა და შესაბამისად სტრესული სიტუაციის პირობებში გააჩნდეთ მომატებული რისკი სტრესით ინდუცირებული დარღვევების აღმოცენებისათვის.

ჩვენს მიერ შესწავლილ პოპულაციაში ქრონიკული ნევროლოგიური პათოლოგიების არსებობის მაღალი სიხშირე საფუძველს გვაძლევს ვივარაუდოთ, რომ გარკვეული თანმხლები პათოლოგია მნიშვნელოვან მაპროვოცირებელ როლს თამაშობს მწვავე ბალონური სინდრომის აღმოცენებაში. ქრონიკული ნევროლოგიური დაავადებები თუ ფსიქიატრიული სფეროს აშლილობები ზეგავლენას ახდენენ ცენტრალური ნერვული სისტემის ნორმალური ფუნქციონირებაზე [252, 253], და შესაძლოა მნიშვნელოვანი პათოფიზიოლოგიური დატვირთვა გააჩნდეთ მაპროვოცირებელი სტრესულ სიტუაციაში მწვავე ბალონური სინდრომის აღმოცენების ხელშემწყობად. შესაბამისად ამ ფაქტორების თუ დაავადებების იდენტიფიცირებას და მაღალი რისკის ჯგუფის გამოვლენას მნიშვნელოვანი პრაქტიკული ღირებულება გააჩნია.

მნიშვნელოვანი თავისებურებები გამოვლინდა მწვავე ბალონური სინდრომის მიოკარდიუმის მწვავე ინფარქტისგან დიფერენცირების ელექტროკარდიოგრაფიული მახასიათებლების თვალსაზრისით:

მწვავე პერიოდში ST-სეგმენტის ელევაცია უპირატესად პრეკორდიალურ განხრებში არის გამოხატული, და მიოკარდიუმის მწვავე ინფარქტთან შედარებით ნაკლებად მანიფესტირებულია. იშვიათად ფიქსირდება ST-სეგმენტის კონკორდანტული ცვლილებები რეციპროკულ განხრებში, ხშირ ელექტროკარდიოგრაფიულ ნიშანს წარმოადგენს T-კბილის ინვერსია, რომელიც ასევე მნიშვნელოვნად მეტ ელექტროკარდიოგრაფიულ განხრაშია წარმოდგენილი.

ქვემწვავე პერიოდში მწვავე აპიკალური ბალონური სინდრომის შემთხვევაში ღრმა, ინვერსიული T-კბილები უპირატესად ფიქსირდება პრეკორდიალურ განხრებში, მნიშვნელოვნად მეტ ელექტროკარდიოგრაფიულ განხრაშია წარმოდგენილი და ჩვეულებრივ ხანგრძლივი დროის მანძილზე რჩება გამოხატული.

მწვავე ბალონური სინდრომის მქონე პაციენტებში ხშირია QT ინერვალის პროლონგირება და მიოკარდიუმის მწვავე ინფარქტის მქონე პაციენტებთან შედარებით მნიშვნელოვნად გახანგრძლივებული QTc მაჩვენებელი. QT ინერვალს, როგორც პარკუჭთა ელექტრული აქტივობის მახასიათებელს მნიშვნელოვანი პრედიქტიული ღირებულება გააჩნია არითმიათა აღმოცენების პროგნოზირების თვალსაზრისით. მიუხედავად იმ ფაქტის, რომ QT ინერვალის პროლონგირება მწვავე ბალონური სინდრომის მქონე პაციენტთა დიდ უმრავლესობაში აღინიშნება (სხვადასხვა კვლევის მონაცემთა მიხედვით 50-100% ) [4,5], ძალზედ იშვიათია ფატალური არითმიების (მათ შორის 'torsade de pointes') აღმოცენების სიხშირე. საინტერესოა ის პარადოქსული ფაქტი, რომ ერთ-ერთი კვლევის მიხედვით მამაკაცებში მწვავე ბალონური სინდრომთან ასოცირებული QT ინერვალის გახანგრძლივება 'torsade de pointes' აღმოცენების მომატებულ რისკთან არის დაკავშირებული, მაშინ როდესაც ქალებში მსგავსი ასოციაცია არ ვლინდება, მიუხედავად QT ინერვალის მნიშვნელოვანი პროლონგირებისა [134]. აღნიშნული კანონზომიერება ბოლომდე შესწავლილი არ გახლავთ, თუმცა შესაძლებელია დაკავშირებული იყოს ჰორმონულ ფაქტორებთან, ან ავტონომიურ ინერვაციულ მექანიზმების თავისებურებასთან ქალებსა და მამაკაცებში.

ექოკარდიოგრაფიულმა გამოკვლევამ მწვავე ბალონური სინდრომის მქონე პაციენტებში მნიშვნელოვანი თავისებურება და მიოკარდიუმის მწვავე ინფარქტთან შედარებით განსხვავებული მორფოლოგიური სურათი გამოავლინა. სხვა წინამორბედი კვლევების მსგავსად გამოიხატა მარცხენა პარკუჭის სისტოლური

დისფუნქციის სპეციფიური ექოკარდიოგრაფიული კორელატი, კერძოდ აპიკალური და შუა სეგმენტების კუმშვადი ფუნქციის მკვეთრი დარღვევა ბაზალური სეგმენტების ნორმალური ან ჰიპერდინამიური სისტოლური ფუნქციის ფონზე. რეგიონული კუმშვადი ფუნქციის დარღვევა არ შეესაბამება კონკრეტული კორონარული არტერიის საირიგაციო ზონას და დისინერგიული სეგმენტების რაოდენობა მნიშვნელოვნად აღემატება ერთო კორონარული არტერიის ვასკულარიზაციის უბანს.

საწყის სტადიაში მწვავე ბალონური სინდრომის მქონე პაციენტებს აღენიშნებათ უფრო მნიშვნელოვნად დაქვეითებული გლობალური სისტოლური ფუნქცია (შესაბამისად EF-  $38.2 \pm 10.8\%$  და  $43.6 \pm 6.9\%$  ( $p=0.02$ ), და რეგიონული დისინერგიის უფრო მკაფიოდ გამოხატული სურათი (რეგიონალური კუმშვადობის ინდექსის სტატისტიკურად მნიშვნელოვნად მაღალი მაჩვენებელი  $2.17 \pm 0.4$  და  $1.88 \pm 0.35$   $p=0.03$ ), რაც თეორიულად მარცხენა პარკუჭის დაზიანების უფრო დიდ კერაზე მეტყველებს და შესაბამისად შედარებით ცუდი კლინიკური პროგნოზის განმსაზღვრელი უნდა იყოს. თუმცა პარადოქსულია ის ფაქტი, რომ, ჩვენს კვლევაში, ისევე როგორც სხვა წინამორბედ კვლევებში [29,34,39], ტრანზიტორული ბალონური სინდრომის მქონე პაციენტებში დაფიქსირდა მარცხენა პარკუჭის როგორც გლობალური, ისე რეგიონალური კონტრაქტილური ფუნქციის პრაქტიკულად სრული ნორმალიზაცია და მიოკარდიუმის მწვავე ინფარქტის ჯგუფთან შედარებით მნიშვნელოვნად უკეთესი მაჩვენებელი როგორც რეგიონალური, ისე გლობალური კუმშვადი ფუნქციის თვალსაზრისით. ზემოთ არნიშნული ცალსახად მეტყველებს ბალონური სინდრომის შემთხვევაში სიცოცხლისუნარიანი მიოკარდიუმის არსებობის სასარგებლოდ.

საინტერესოა ის ფაქტი, რომ მწვავე პერიოდში ტრანზიტორული ბალონური სინდრომის ჯგუფში დაფიქსირდა უკეთესი დიასტოლური ავსების მაჩვენებლები (მიუხედავად უფრო დაბალი განდევნის პრაქციის და შედარებით მაღალი საბოლოო დიასტოლური მოცულობის არსებობისა). E/Ea თანაფარდობა, რომელიც მარცხენა პარკუჭის ავსების წნევის შეფასების არაინვაზიური პარამეტრია სტატისტიკურად მნიშვნელოვნად დაბალი აღმოჩნდა მიოკარდიუმის მწვავე ინფარქტის მქონე პაციენტებთან შედარებით ( $15.8 \pm 4.5$  და  $12.1 \pm 4.2$   $p=0.004$ ).

კლინიკური კვლევები ცხადყოფს, რომ მარცხენა პარკუჭის დიასტოლური ფუნქციის შეფასების პარამეტრები და ავსების წნევა წარმოადგენენ პრონოზულ მაჩვენებლებს სიცოცხლისუნარიანი მიოკარდიუმის არსებობის შეფასებისას მიოკარდიუმის მწვავე ინფარქტის მქონე პაციენტებში [98, 99, 113]. მარცხენა პარკუჭის დიასტოლური ფუნქცია მნიშვნელოვნად არის დამოკიდებული პარკუჭის რელაქსაციის უნარზე და კედლის ელასტიურობაზე, მიოკარდიუმის ინფარქტის შემთხვევაში აკინეზიური სეგმენტების არსებობა და შემდგომში ნაწიბურის ჩამოყალიბება მნიშვნელოვან ზეგავლენას ახდენს მარცხენა პარკუჭის ამ პარამეტრებზე [108, 113, 152]. აღინიშნება კორელაცია მიოკარდიუმის ფიბროზის ხარისხს, სიცოცხლისუნარიანი მიოკარდიუმის არსებობას და დიასტოლური დისფუნქციის ხარისხს შორის [199, 200, 228, 229,] შესაბამისად, შედარებით შენახული დიასტოლური ფუნქცია მწვავე ბალონური სინდრომის მქონე პაციენტებში შესაძლოა ასევე მეტყველებდეს მიოკარდიული სტანინგის სასარგებლოდ და მიოკარდიუმის მწვავე ინფარქტთან შედარებით უკეთესი პრონოზის განმსაზღვრელი ერთ-ერთი ფაქტორი იყოს.

კარდიოსპეციფიური მარკერების (ტროპონინის და კრეატინფოსფოკინაზას) კონცენტრაციის მატება სხვადასხვა კვლევის მონაცემზე დაყრდნობით მწვავე ბალონური სინდრომის მქონე პაციენტთა 40-100% აღინიშნება [198,204,205,290]. კარდიული ტროპონინი მიოკარდიუმის დაზიანების მაღალი სენსივობის სპეციფიკური მარკერია და კარდიომიოციტის დაზიანების დეტექციის ერთ-ერთ საუკეთესო საშუალებას წარმოადგენს. როგორც კარდიული ტროპონინის ისე კრეატინფოსფოკინაზას კონცენტრაციის მატება აღინიშნა ჩვენი საკვლევი პოპულაციის ორივე ჯგუფის ყველა პაციენტში, თუმცა მიოკარდიუმის მწვავე ინფარქტის ჯგუფში გამოვლინდა კარდიოსპეციფიური მარკერების კონცენტრაციის მნიშვნელოვანი ზრდა, მაშინ როდესაც ტრანზიტორული ბალონური სინდრომის ჯგუფში კარდიული მარკერების როგორც საწყისი, ისე პიკური მაჩვენებელი უმნიშვნელოდ გახლდათ მომატებული და სტატისტიკურად მნიშვნელოვნად დაბალი იყო მიოკარდიუმის მწვავე ინფარქტთან მიმართებაში ( $P<0.0001$ ). მწვავე ბალონური სინდრომის მქონე პაციენტებში კარდიული მარკერების მცირედი, რეგიონალური კუმშვადი ფუნქციის დარღვევის დისპროპორციული მატება მიოკარდიული სტანინგის სასარგებლოდ მეტყველებს და შესაძლოა მიოკარდიუმის



მწვავე ინფარქტთან შედარებით უკეთესი პროგნოზის განმსაზღვრელი ერთ-ერთი ფაქტორი იყოს.

პარადოქსულია ის ფაქტი, რომ ბალონური სინდრომის მქონე პაციენტებს აღენიშნებათ ტვინის ნატრიურული ჰორმონის (BNP) მნიშვნელოვნად მაღალი კონცენტრაცია კლინიკური მიმდინარეობის მწვავე პერიოდში მიოკარდიუმის მწვავე ინფარქტის მქონე პაციენტებთან შედარებით. მიუხედავად პრაქტიკულად ერთნაირი საწყისი ჰემოდინამიკური პარამეტრების და შედარებით მკვეთრად გამოხატული დიასტოლური დისფუნქციის სურათის, BNP -ის მაჩვენებელი თითქმის 4-ჯერ დაბალი საშუალო მონაცემი დაფიქსირდა მიოკარდიუმის მწვავე ინფარქტის მქონე პაციენტებში.

BNP-ის კონცენტრაციის შესმნევე მატებას კარდიული მარკერების უმნიშვნელოდ მომატებულ კონცენტრაციასთან კომბინაციაში შესაძლებელია მნიშვნელოვანი სადიაგნოსტიკო ღირებულება გააჩნდეს.

კორონაროგრაფიული გამოკვლევით მწვავე აპიკალური ბალონური სინდრომის ჯგუფში არცერთ შემთხვევაში არ გამოვლინდა კლინიკურად მნიშვნელოვანი კორონარული სტენოზის (შევიწროება >50% კორონარული არტერიის დიამეტრის) ან მწვავე თრომბოზის არსებობა. ბალონური სინდრომის შემთხვევაში კუმშვადი დისფუნქციის რევერზიბელური ხასიათი, კარდიული მარკერების უმნიშვნელო, კუმშვადი დისფუნქციის დისპროპორციული მატება, დამახასიათებელი ელექტროკარდიოგრაფიული ცვლილებები, ინტაქტური კორონარების არსებობა იშემიას როგორც სინდრომის განვითარების შესაძლო პათოგენეზურ საფუძველს გამორიცხავს.

ანევრიზმული სუბარაქნოიდული ჰემორაგიის ფონზე აღმოცენებული სისტოლური დისფუნქცია (მარცხენა პარკუჭის გლობალური და/ან რეგიონალური კუმშვადი ფუნქციის დარღვევით მანიფესტირებული) არცთუ იშვიათად არის წარმოდგენილი, და ჩვენს მონაცემებზე დაყრდნობით შემთხვევათა 16.8%-ში იყო გამოვლენილი.

ჩვენს მიერ შესწავლილ კონტიგენტში ანევრიზმული სუბარაქნოიდული ჰემორაგიის ფონზე აღმოცენებული კარდიომიოპათიით, მარცხენა პარკუჭის კუმშვადი ფუნქციის დარღვევა ნევროლოგიური კატასტროფის აღმოცენებიდან პირველსავე დღეებში გამოვლინდა. ისევე როგორც წინამორბედ კვლევებში ჩვენმა

მონაცემებმაც დაადასტურა მჭიდრო კავშირი კარდიული დისფუნქციის განვითარებასა და ნევროლოგიური დაზიანების სიმძიმეს შორის. პაციენტებს მარცხენა პარკუჭის კუმშვადი დისფუნქციით გააჩნდათ მძიმე ნევროლოგიური დარღვევები II საკლევ ჯგუფთან შედარებით (Hunt Hess –  $2.75 \pm 1.2$  და შესაბამისად  $2.0 \pm 1$ )  $P=0.03$ , ინიციალური ნევროლოგიური სტატუსის შეფასებისას კარდიული დისფუნქციის მქონე შემთხვევათა 56.25%-ში (9 პაციენტი) ნევროლოგიური სტატუსი შეფასდა როგორც  $\geq 3$ , მაშინ როდესაც მეორე ჯგუფში მხოლოდ 22 შემთხვევაში (27.8%) გამოვლინდა Hunt-Hess  $\geq 3$  ( $P=0.04$ ).

არსებობს მოსაზრება, რომ თავის ტვინის მწვავე დაზიანების ფონზე ადგილი აქვს მიოკარდიუმის სიმპატიკურ ნერვულ ტერმინალებში ნორეპინეფრინის მასიურ გამოთავისუფლებას, რაც თავისმხრივ ადგილობრივად მიოციტების ლიზისს და კონტრაქტილურ დისფუნქციას იწვევს [92, 159].

ექსპერიმენტული კვლევებით დადგენილია, რომ კატექოლამინებით ჭარბი სტიმულაციის პირობებში ადგილი აქვს კარდიომიოციტების სპეციფიკურ დაზიანებას, რომელიც ჰისტოლოგიურად მიოციტოლიზისის ანუ კუმშვადი ჯაჭვების ნეკროზის (contraction band necrosis) სახით ვლინდება და ცალსახად განსხვავდება მიოკარდიუმის იშემიით ინდუცირებული დაზიანებისაგან [].

ჩვენი კვლევის ფარგლებში არ განხორციელებულა სიმპატიკური აქტივობის შეფასება, ან მოციროკულირე კატექოლამინების კონცენტრაციის განსაზღვრა, თუმცა მჭიდრო კორელაციური კავშირი ნევროლოგიური დაზიანების სიმძიმეს და მარცხენა პარკუჭის კუმშვადი დისფუნქციის აღმოცენებას შორის, ასევე ამ უკანასკნელის ხშირ შემთხვევაში გამოხატული რევერზიბელური ხასიათი მიოკარდიუმის არაიშემიური გენეზის დაზიანების სასარგებლოდ უნდა მეტყველებდეს, და ნეიროგენული სტანინგის არსებობაზე მიანიშნებდეს. ჩვენი კვლევის ფარგლებში პაციენტებს არ ჩატრებიან კორონარული არტერიების ანგიოგრაფიული გამოკვლევა, თუმცა საგულისხმოა ის ფაქტი, რომ სხვადასხვა კვლევის მონაცემით ანევრიზმული სუბარაქნოიდული ჰემორაგიის ფონზე განვითარებული ტრანზიტორული კარდიომიოპათიის მქონე პაციენტების კორონაროგრაფიული გამოკვლევისას მნიშვნელოვანი კორონარული სტენოზირების (>50%) არსებობა არ დასტურდება [104, 107, 109,124, 138,139].

